RONDELI FOUNDATION
GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

უმუშევრობის სტრუქტურა და სტრუქტურული უმუშევრობა საქართველოში

2016

RONDELI FOUNDATION
GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

უმუშევრობის სტრუქტურა და სტრუქტურული უმუშევრობა საქართველოში

2016

კვლევა განახორციელა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდმა (რონდელის ფონდი) ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით.

პროექტის კოორდინატორი, კვლევის ხელმძღვანელი: პროფესორი მერაბ კაკულია
უფროსი მკვლევარი: ნოდარ კაპანაძე
მკვლევარები: ვახტანგ ლომჯარია, ლალი ქურხული

რედაქტორი: პროფესორი იოსებ არჩვაძე

პუბლიკაციაში წარმოდგენილია ავტორთა პირადი მოსაზრებები.
დაუშვებელია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ გამოცემული მასალების კომერციული მიზნით გამოყენება ფონდის თანხმობის გარეშე.

© ფრიდრიხ ებერტის ფონდი, 2016

ISBN 978-9941-0-9430-9

სარჩევი

1. შესავალი 5
1.1 უმუშევრობის სტატისტიკური აღრიცხვა საქართველოში 5
1.2 კვლევის ამოცანა და მიზნები 6
1.3 კვლევის წყაროები 7
1.4 კვლევის მეთოდოლოგია 7

2. უმუშევრობის სტრუქტურა 9
2.1 უმუშევრობის აგრეგირებული დონის შეფასება 9
2.2 უმუშევრობისა და დასაქმების კვალიფიკაციური სტრუქტურის შესაბამისობა 11
2.3 უმუშევრობის დინამიკა კვალიფიკაციის მიხედვით 15
2.4 უმუშევრობის სტრუქტურა ხანგრძლივობის მიხედვით 17
2.5 უმუშევრობის სტრუქტურა განათლების მიღწეული დონის მიხედვით 20

3. დასაქმების სტრუქტურა 22
3.1 დასაქმების სექტორული სტრუქტურა 22
3.2 სამუშაო ადგილების გენერაციის წყაროები 28

4. სტრუქტურული უმუშევრობა 31
4.1 სტრუქტურული უმუშევრობა: მეთოდოლოგიური ასპექტი 31
4.2 ხანგრძლივი უმუშევრობა და დეკვალიფიკაცია, როგორც სტრუქტურული უმუშევრობის გამოვლინება 32
4.3 „დაუკმაყოფილებელი“ დასაქმებულები ანუ ფარული სტრუქტურული უმუშევრობა 34
4.4 შრომის ბაზრის მოთხოვნისა და მიწოდების სტრუქტურული თავსებადობა 38
4.5 საგანმანათლებლო სისტემის ეფექტიანობა სტრუქტურული უმუშევრობის კონტექსტში 47

5. შრომის ბაზრის ინსტიტუციური სისუსტეები 53

6. ძირითადი მიგნებები 56
6.1 ემპირიული მიგნებები 56
6.2 თვისობრივი მიგნებები 58

7. რეკომენდაციები 60

8. შრომის ბაზრის განვითარების სცენარები 62

9. წყაროები 66

10. დანართები 67
დანართი N1 67
დანართი N2 68
დანართი N3 69

1. შესავალი

1.1 უმუშევრობის სტატისტიკური აღრიცხვა საქართველოში

საქართველოში უმუშევრობის სტატისტიკას სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) აწარმოებს. ინფორმაციის მთავარი წყარო საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევაა.

1996-2001 წლებში მოსახლეობის ეკონომიკური სტატუსის შეფასება ხდებოდა მხოლოდ მოკლე კითხვარით, რომელიც არ იძლეოდა საკითხის ღრმა ანალიზის შესაძლებლობას. 2000-2001 წლებში მოხდა შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის თვისობრივი გაუმჯობესება, რის შემდეგაც გამოკვლევის ფარგლებში დაიწყო დასაქმებისა და უმუშევრობის დეტალური შესწავლა. ამისთვის გამოიყენება შინამეურნეობების ინტეგრირებულ გამოკვლევის ინსტრუმენტი ,,შინდა05_1"[1], რომლის მეშვეობითაც გამოიკითხება შერჩეული შინამეურნეობის 15 წლისა და უფროსი ასაკის თითოეული წევრი.

ბოლო 20 წლის განმავლობაში ქართულ საზოგადოებაში უმუშევრობის დონე მაღალი ინტერესისა და მუდმივი განსჯის საგანია. ხშირად ისმის პრეტენზია იმის შესახებ, რომ ეს მაჩვენებელი ხელოვნურადაა შემცირებული. თუმცა, თუ საკითხის არსს უფრო ღრმად ჩავწვდებით, უმუშევრობის არსებული, თუნდაც შემცირებული დონე, რომელიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) კრიტერიუმების გათვალისწინებით არის დადგენილი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სულაც არ არის დაბალი.

მიუხედავად ამისა, შსო-ის კრიტერიუმებით განსაზღვრული უმუშევრობის დონის მაჩვენებელი არ იძლევა ამ მწვავე სოციალური და ეკონომიკური პრობლემის კომპლექსური შეფასების შესაძლებლობას. მაგალითად, იგი არ მოიცავს არასრულ დასაქმებასა და ფარულ უმუშევრობას - მოვლენებს, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც. შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა არასრული დასაქმების და ფარული უმუშევრობის ანალიზის საშუალებასაც იძლევა.

შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა შეიცავს აგრეთვე ინფორმაციას უმუშევრობის კვალიფიკაციური სტრუქტურის, მისი ხანგრძლივობის მიხედვით დიფერენციაციის, სამუშაო ადგილების გენერაციის წყაროების და სტრუქტურული უმუშევრობის (Skills Gap) შესახებ, რომლის რეგულარული დამუშავება, როგორც წესი, არ ხორციელდება. არადა უმუშევრობის სხვადასხვა სტრუქტურული ასპექტისა და სტრუქტურული უმუშევრობის მონაცემთა ანალიზი მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა დასაქმების პოლიტიკისა და ზოგადად ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის ასამაღლებლად.

უმუშევრობის სტრუქტურისა და სტრუქტურული უმუშევრობის სიღრმისეული ტენდენციების გამოვლენა ბევრადაა დამოკიდებული უმუშევართა მიმდინარე აღრიცხვის სისტემის გამართულობაზე. უმუშევრობის მიმდინარე აღრიცხვის სამსახური საქართველოში 2004 წლამდე არსებობდა, თუმცა გამართულად მას არასდროს უმუშავია. მოქალაქეები აქ რეგისტრირდებოდნენ, როგორც უმუშევრები, მაგრამ ამ სისტემით მოცული დასაქმების მსურველთა რაოდენობა უმნიშვნელო იყო (იხილეთ დიაგრამა N1).

უმუშევართა მიმდინარე აღრიცხვის სისტემის არაეფექტიანობა სრულიად კანონზომიერი იყო, რადგანაც უმუშევრად რეგისტრაცია დასაქმების არანაირ პერსპექტივას არ შეიცავდა, ხოლო უმუშევრობის შემწეობა ძალიან მცირე იყო. ყოველივე ეს ნათლად ასახავდა ორი საუკუნის მიჯნაზე საქართველოს ეკონომიკაში არსებულ უაღრესად რთულ და სავალალო ვითარებას. აღსანიშნავია ისიც, რომ არ არსებობდა ვაკანსიების აღრიცხვის სისტემაც, რაც აზრს უკარგავდა უმუშევრობის მიმდინარე აღრიცხვას. ნიშანდობლივია, რომ ვაკანსიების აღრიცხვა არც ახლა არსებობს და შესაბამისად, ამ ტიპის ინფორმაციული მასივების მოძიება დღესაც შეუძლებელია.

[1] კითხვარი განთავსებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე. იხილეთ ბმული: http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/kitxvarebi/shinda/Shinda05-1_2015_Geo.pdf



წყარო: საქსტატი. სტატისტიკური წელიწდეული, 2004.

უმუშევრობის სტრუქტურის ღრმა ანალიზი შესაძლებელია მხოლოდ უმუშევართა მიმდინარე აღრიცხვის გამართული სისტემის პირობებში. ვინაიდან საქართველოში ასეთი სისტემა არ არსებობს, მხოლოდ შერჩევითი გამოკვლევის შეფასებებით უნდა შემოვიფარგლოთ, ანუ კვლავ უნდა დავეყრდნოთ შინამეურნეობათა ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზებს. მართალია, ეს სხვა რეგისტრის მონაცემებია და უმუშევართა მიმდინარე აღრიცხვის სისტემის ფუნქციებს ვერ შეასრულებს, მაგრამ მის საფუძველზე იქმნება გარკვეული ჰომოგენური ინფორმაციის დროითი მწკრივი, რომელიც ჩამოყალიბებული ტენდენციების კვლევის შესაძლებლობას იძლევა.

1.2 კვლევის ამოცანა და მიზნები

წინამდებარე კვლევის ძირითადი ამოცანაა საქართველოში უმუშევრობის სტრუქტურული ასპექტების და სტრუქტურული უმუშევრობის შესწავლა, რომელიც სცილდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კრიტერიუმებით უმუშევრობის დონის შეფასების ჩარჩოს და მიზნად ისახავს:

1. უმუშევრობის აგრეგირებული დონის და მისი სტრუქტურის შეფასებას;
2. უმუშევრობის სტრუქტურის ანალიზს, მათ შორის:
   - კვალიფიკაციების მიხედვით;
   - ხანგრძლივობის მიხედვით;
   - განათლების მიღწეული დონის მიხედვით;
3. სამუშაო ადგილების გენერაციის წყაროების სტრუქტურის დადგენას;
4. სტრუქტურული უმუშევრობის (Skills Gap) ანალიზს, მათ შორის:
   - ხანგრძლივი უმუშევრობისა და დეკვალიფიკაციის შესწავლას;
   - „დაუკმაყოფილებელი“ დასაქმებულებისა და ფარული სტრუქტურული უმუშევრობის გამოკვლევას;
   - შრომის ბაზრის მოთხოვნისა და მიწოდების სტრუქტურული თავსებადობის შესწავლას;
   - საგანმანათლებლო სისტემის ეფექტიანობის ანალიზს სტრუქტურული უმუშევრობის ასპექტში.
5. შრომის ბაზრის ინსტიტუციური სისუსტეების დადგენას;
6. შრომის ბაზრის განვითარების სცენარების ჩამოყალიბებას.

1.3 კვლევის წყაროები

დასახული მიზნების მისაღწევად კვლევაში ინფორმაციის რამდენიმე წყარო იქნა გამოყენებული, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანია შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა.

შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა 1996 წლიდან დღემდე უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება. შედეგად დაგროვდა საკმაოდ ხანგრძლივი დროითი მწკრივი, რომელიც უმუშევრობის და დასაქმების სიღრმისეული ანალიზის ფართო შესაძლებლობებს იძლევა. გამოკვლევის პირველადი მონაცემთა ბაზები ხელმისაწვდომია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) ვებ-გვერდზე.[2] აქვეა წარმოდგენილი გამოკვლევის ინსტრუმენტარიუმიც.[3] აღნიშნული მონაცემთა ბაზა უმუშევრობის სტრუქტურული და სისტემური თავისებურებების შესახებ უზარმაზარ, თუმცა შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების შესახებ საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნილებებთან შედარებით უაღრესად არასაკმარის ინფორმაციას იძლევა. შესაბამისად, შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების სრულყოფილი სურათის შესაქმნელად საჭიროა დამატებითი ინფორმაციის მოძიება.

შრომის ბაზრის კონიუნქტურის ანალიზისათვის გამოყენებულ იქნა პროფესიული განათლების მიმართ დამსაქმებელთა დამოკიდებულების გამოკვლევის ანგარიში, რომელიც ჩატარდა კომპანია ეი-სი-თი-ს მიერ 2015 წელს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს დაკვეთით.[4] გამოყენებული იქნა აგრეთვე შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის გამოკვლევის ანგარიში, რომელიც ჩატარდა 2015 წელს კომპანია ბი-სი-ჯი-ს მიერ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაკვეთით.[5]

შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების არსებული მდგომარეობის უფრო სრულყოფილი შეფასების მიზნით პროექტის ფარგლებში დაიგეგმა დასაქმების მეტნაკლებად ინსტიტუციონალიზებულ საინფორმაციო წყაროებში არსებული შეთავაზებების სისტემატიზაცია, მონაცემთა ბაზის ფორმირება და ანალიზი.

ამგვარ საინფორმაციო წყაროებად მიჩნეულ იქნა:

ა) გაზეთი „სიტყვა და საქმე“, რომელიც გამოდის ყოველკვირეულად და საქართველოში ყველაზე დიდტირაჟიან გამოცემას წარმოადგენს. ბეჭდურ მედიაში იგი პრაქტიკულად ერთადერთი წყაროა, სადაც სამუშაოს ძებნასთან დაკავშირებული განცხადებები ქვეყნდება. ანალოგიური ინფორმაცია ქვეყნდება სხვა გაზეთებშიც, მაგრამ მათი ტირაჟი, გავრცელების არეალი - შეზღუდული, ხოლო გამოქვეყნებული განცხადებების რაოდენობა - ძალიან მცირეა;

ბ) ვებ რესურსი - jobs.ge, რომელიც დასაქმების ძირითად ელექტრონულ საინფორმაციო წყაროს წარმოადგენს. დაახლოებით თანაზომვადი მასშტაბის საინფორმაციო წყაროდ შეიძლება განვიხილოთ ვებ რესურსი HR.ge, სადაც ქვეყნდება საჯარო სექტორში არსებული ვაკანსიები, მაგრამ კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფოკუსირება ინფორმაციის შედარებით უნივერსალური წყაროს - jobs.ge-ის მონაცემებზე მოხდა.

გარდა ამისა, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე პროექტის ფარგლებში განხორციელდა ჩაღრმავებული ინტერვიუ სხვადასხვა დარგის 10 მსხვილ დამსაქმებელთან (იხილეთ დანართი N2).

1.4 კვლევის მეთოდოლოგია

საქართველოში შრომის ბაზრის ინსტიტუციონალიზაციის ხარისხი ძალიან დაბალია. საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა წილი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში, საქსტატის ბოლო მონაცემებით, შეადგენს მხოლოდ 37.3 პროცენტს, მათ შორის თითქმის ნახევარი - სახელმწიფო, საჯარო სექტორში დასაქმებულებზე მოდის. ასევე, ძალიან დაბალია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმუშევრობის მიმდინარე სტატისტიკური აღრიცხვის ხარისხი. ერთადერთი სტანდარტების შესაბამისი ინფორმაციული მასივი შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზაა. წინამდებარე კვლევის მიზნებისთვის აუცილებელი გახდა აღნიშნული ბაზის დამატებითი დამუშავება, რის საფუძველზეც მოხერხდა 2009-2015 წლების დროითი მწკრივების მრავალმხრივი ანალიზი.

აღნიშნული ანალიზი, უწინარეს ყოვლისა, განხორციელდა შსო-ის კრიტერიუმებს მიღმა დარჩენილი ისეთი სოციალური პლასტების რაოდენობრივი შეფასებისთვის, როგორიცაა არასრული დასაქმება და ფარული უმუშევრობა, რამაც შესაძლებელი გახადა უმუშევრობის აგრეგირებული დონის მაჩვენებლის გაანგარიშება და მისი დინამიკისა და სტრუქტურის დადგენა.

[2] http://www.geostat.ge/?action=meurneoba_archive&lang=geo
[3] http://www.geostat.ge/?action=page&p_id=697&lang=geo
[4] http://www.mes.gov.ge/content.php?id=5962&lang=geo
[5] http://www.moh.gov.ge/files/2015/Failebi/29.12.15.pdf

შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზის დამატებითი ანალიზის საფუძველზე პასუხი გაეცა კითხვას: რას სთავაზობენ უმუშევრები პოტენციურ დამსაქმებლებს? ამ მიზნით მოხდა შსო-ის კრიტერიუმით გამოვლენილ უმუშევართა პროფესიული და კვალიფიკაციური სტრუქტურის შესწავლა. გამოკვლევის კითხვარში გათვალისწინებულია რესპონდენტების დიპლომის ან სხვა სერტიფიკატის მიხედვით ძირითადი პროფესიის მითითება. შესაბამისად გაკეთდა დაშვება, რომ უმუშევრები სამსახურს თავისი პროფესიის მიხედვით ეძებენ.

შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის კითხვარი ითვალისწინებს სამუშაოს სხვადასხვა ფორმით ძებნის ანალიზის შესაძლებლობას. ამდენად პასუხი გაეცა კითხვას თუ როგორ ეძებს უმუშევარი სამუშაოს? კითხვარიდან იმის გარკვევაც შეიძლება, თუ რა ფორმით ამჯობინებენ უმუშევრები დასაქმებას - დაქირავებით თუ თვითდასაქმებით?

იმავე წყაროდან შესაძლებელია იმის შეფასებაც, თუ რამდენადაა ინსტიტუციურ ჩარჩოებში მოქცეული სამუშაოს ძებნის პროცესი? როგორია ამ პროცესში სოციალური კაპიტალის (ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების) და ინსტიტუციური რესურსების განაწილება? რამდენ ხანს გრძელდება სამუშაოს ძებნა? და ა.შ.

ყველაზე დიდ სირთულეს მოცემული კვლევითი პროექტის განხორციელების პროცესში წარმოადგენდა სტრუქტურული უმუშევრობის ანუ შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მოთხოვნისა და მიწოდების კვალიფიკაციური სტრუქტურების შეუსაბამობის (Skills Gap) რაოდენობრივი შეფასება, რომლის სტანდარტული მეთოდოლოგია არ არსებობს. შსო-ის ვებ-გვერდზე მოძიებული მასალების მიხედვით სტრუქტურული უმუშევრობის კონცეფცია მხოლოდ უმუშევრობის ამ ტიპის დეტალური განმარტებით შემოიფარგლება.[6] სტრუქტურული უმუშევრობის გაანგარიშების მაგალითების შესწავლამ აჩვენა, რომ ამ მოვლენის რაოდენობრივი შეფასება გულისხმობს შრომის ბაზრის ინსტიტუციონალიზაციის მაღალ დონეს, როდესაც კომპანიებიდან თანამშრომლების განთავისუფლების და დასაქმების შესახებ დეტალური ინფორმაცია თავს იყრის რომელიმე ერთ უწყებაში.

შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემების მიხედვით შესაძლებელია მხოლოდ სტრუქტურული უმუშევრობის ცალკეული ასპექტების რაოდენობრივი შეფასება, რაც, ცხადია, სრულ სურათს ვერ იძლევა. მაგალითად, უმუშევრობის ხანგრძლივობის ანალიზი გარკვეულ წარმოდგენას იძლევა სტრუქტურული უმუშევრობის მასშტაბის შესახებ. ამ მხრივ საინტერესოა ფაქტიური და დიპლომის მიხედვით პროფესიების შედარებითი ანალიზი, რომლის საფუძველზე შეიძლება კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმების დონის მაჩვენებლის გაანგარიშება, რაც შინაარსით ძალიან ახლოსაა სტრუქტურული უმუშევრობის მაჩვენებელთან. მიუხედავად ამისა, შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის დამატებითი ანალიზის შედეგად მიღებული მაჩვენებლები ვერ ანაცვლებს შრომის ბაზრის ინსტიტუციონალიზაციის ხარისხის მნიშვნელობას სტრუქტურული უმუშევრობის სრულფასოვან შეფასებაში.

სამუშაოს ძებნის პროცესი საქართველოში მხოლოდ ნაწილობრივაა ინსტიტუციონალიზებული, ისიც ისე, რომ რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის შესაძლებლობები მინიმუმამდეა დაყვანილი. კერძოდ, არ არის კლასიფიცირებული შეთავაზებული ვაკანსიები. ამდენად პირველ ეტაპზე აუცილებელი გახდა დასაქმების დასახელებულ წყაროებში („სიტყვა და საქმე“; Jobs.ge) გამოქვეყნებულ განცხადებებში მოცემული ინფორმაციის სისტემატიზება. თითოეულ განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე შეივსო კითხვარი. შევსებული კითხვარები შევიდა მონაცემთა ბაზაში, რომლის მეშვეობით შესაძლებელია შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიების სტრუქტურის განსაზღვრა.

თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო ინფორმაციის ორივე წყაროდან დროითი მწკრივის გენერირება, რომელსაც უნდა მოეცვა 2009-2015 წლების პერიოდი. გაზეთ „სიტყვა და საქმის“ შემთხვევაში ეს მოხერხდა: მოძიებულ იქნა 2010-2015 წლების ნომრები, რომელთაგანაც შეირჩა ყოველი წლის მაისისა და დეკემბრის მეორე ნახევარში გამოსული ნომრები. მათ მონაცემებზე დაყრდნობით ზემოთ ხსენებული ინსტრუმენტის საშუალებით განხორციელდა მონაცემთა ბაზის ფორმირება. სამწუხაროდ, ასეთივე მზაობა არ გამოავლინა ინტერნეტრესურს Jobs.ge-ს ადმინისტრაციამ, რომელმაც არ ისურვა საიტის არქივზე პროექტის მკვლევართა წვდომის დაშვება. შედეგად, შესაძლებელი გახდა მხოლოდ ვაკანსიების სტრუქტურის ანალიზი 2016 წლის მაისის მეორე ნახევრის მდგომარეობით. აღნიშნულის გამო ორივე წყაროდან კომბინირებული ისტორიული მონაცემების საფუძველზე რაოდენობრივი შეფასებების გაკეთება ვეღარ მოხერხდა.

პროექტის ფარგლებში ასევე ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუები სხვადასხვა დარგის 10 მსხვილ დამსაქმებელთან, რისთვისაც შემუშავდა სპეციალური კითხვარი (იხილეთ დანართი N1). ჩაღრმავებული ინტერვიუების კონტენტ ანალიზის საფუძველზე შეფასდა კადრების მოძიების ინსტიტუციური პრობლემის და მათი პროფესიული შესაბამისობის პრობლემის სიმწვავე.

[6] http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---stat/documents/publication/wcms_166604.pdf

2. უმუშევრობის სტრუქტურა

2.1 უმუშევრობის აგრეგირებული დონის შეფასება

უმუშევრობის დონის ოფიციალური მაჩვენებელი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეყრდნობა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) კრიტერიუმებს. ამ კრიტერიუმებით უმუშევრობის დონე საქართველოში 2009-2015 წლებში შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა, რომელიც განსაკუთრებით 2014-2015 წლებში გაძლიერდა.

უმუშევრობის 12-პროცენტიანი დონე ნიშნავს, რომ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 12 პროცენტი გამოკითხვის წინა შვიდი დღის განმავლობაში ერთი საათითაც კი არ მუშაობდა ფულადი ან ნატურალური შემოსავლის მისაღებად. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში არ შედიან პირები, რომლებიც ან არ მუშაობდნენ (სტუდენტები, დიასახლისები და სხვა), ან აქტიურად არ ეძებდნენ სამუშაოს. ეკონომიკური აქტიურობის მაჩვენებელი 2015 წელს 68 პროცენტი იყო, ანუ 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის 32 პროცენტი სხვადასხვა მიზეზით ეკონომიკურად აქტიური არ ყოფილა.

დიაგრამა N2



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ

როგორც ზემოთ მოტანილი დიაგრამიდან ჩანს, უმუშევრობის დონეებს შორის სხვაობა ქალაქად და სოფლად ძალიან დიდია: 2015 წელს ქალაქად უმუშევრობის დონის მაჩვენებელი თითქმის 5-ჯერ აღემატებოდა სოფლის ანალოგიურ მაჩვენებელს. სოფლად უმუშევრობის დაბალ დონეს ცალსახად განსაზღვრავს თვითდასაქმება, რასაც უმუშევრობის დონის მაჩვენებელი სოფლად მინიმალურ მნიშვნელობამდე დაჰყავს. 2009-2015 წლებში უმუშევრობის დონე როგორც ქალაქად, ისე სოფლად შემცირების ტენდენციას ავლენდა, თუმცა ეს ტენდენცია ქალაქად რამდენადმე უფრო ძლიერი იყო, განსაკუთრებით 2014-2015 წლებში.

მართალია, შსო-ის კრიტერიუმებით დათვლილი უმუშევრობის დონის მაჩვენებელი საკმაოდ ინფორმატიულია, მაგრამ უმუშევრობის სურათი არ იქნებოდა სრულყოფილი არასრული დასაქმებისა და ფარული უმუშევრობის გათვალისწინების გარეშე. შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა არასრული დასაქმების და ფარული უმუშევრობის ანალიზის საშუალებასაც იძლევა.

წინამდებარე კვლევაში არასრული დასაქმების და ფარული უმუშევრობის შეფასებისათვის მიზანშეწონილად მივიჩნიეთ შემდეგი კრიტერიუმების გამოყენება, რომლებსაც აქტიურად იყენებენ ანალოგიურ საერთაშორისო კვლევებში: [7]

[7] წარმოდგენილი კრიტერიუმები ითვალისწინებს შსო-ს მიერ რეკომენდირებულ მეთოდოლოგიას.

1. არასრულად დასაქმებულად ჩაითვალა ის, ვინც:
   - გამოკითხვის წინა შვიდი დღის განმავლობაში ასრულებდა ერთზე მეტ სამუშაოს, რაც ძირითადად იმასთანაა დაკავშირებული, რომ ერთი სამუშაოდან მიღებული შემოსავალი მისთვის საკმარისი არ არის და იძულებულია ჰქონდეს მეორე სამუშაო;
   - გამოკითხვის წინა შვიდი დღის პერიოდში იძულებით მუშაობდა არასრული სამუშაო დროით, ჰქონდა სრული სამუშაო დროით მუშაობის სურვილი და სრული სამუშაო დროით სამსახურის მოძებნის შემთხვევაში მზად იყო დაუყოვნებლივ დაეწყო მუშაობა.
2. ფარულ უმუშევრებად ჩაითვალა ის, ვინც:
   - გამოკითხვის წინა შვიდი დღის განმავლობაში დასაქმებული იყო სრული სამუშაო დროით, მაგრამ სამუშაო არ აკმაყოფილებდა;
   - ეძებდა სხვა სამსახურს და
   - მოძებნის შემთხვევაში მზად იყო დაუყოვნებლივ შეეცვალა სამსახური.

აღნიშნული კრიტერიუმების გამოყენებით შესაძლებელია უმუშევრობის აგრეგირებული მაჩვენებლის გაანგარიშება, რომელიც მოიცავს როგორც შსო-ის კრიტერიუმით იდენტიფიცირებულ უმუშევრებს, ისე არასრულად დასაქმებულებს და ფარულ უმუშევრებს. ქვემოთ მოცემულია ამ მაჩვენებლის დინამიკა მთლიანად ქვეყნის, აგრეთვე ქალაქის და სოფლის ჭრილებში.

დიაგრამა N3



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ

თვალში საცემია ის გარემოება, რომ ქალაქისა და სოფლის მიხედვით დათვლილი უმუშევრობის აგრეგირებული მაჩვენებლები ისე არსებითად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც შსო-ის კრიტერიუმით დათვლილი უმუშევრობის მაჩვენებლები. ამის ძირითადი მიზეზი ისევ სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებაა: თვითდასაქმებულთა საკმაოდ დიდი ნაწილი არასრულად დასაქმებული ან ფარული უმუშევარია.

უმუშევრობის აგრეგირებული მაჩვენებლები, ისე როგორც შსო-ის კრიტერიუმით უმუშევრობის დონის მაჩვენებლები, კლების ტენდენციას ავლენენ, მაგრამ შემცირების ტრენდი ამ შემთხვევაში შედარებით უფრო წრფივია, ვიდრე შსო-ის კრიტერიუმით უმუშევრობის დონის ტრენდი.

უმუშევრობის აგრეგირებული დონის 43 პროცენტი შსო-ის კრიტერიუმით უმუშევრებისაგან შედგება, დაახლოებით მესამედი - 32 პროცენტი - არასრული დასაქმების წილად მოდის, ხოლო მეოთხედი - 25 პროცენტი - ფარული უმუშევრობის წილად.



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ

საინტერესოა, რომ 2009-2015 წლებში უმუშევრობის აგრეგირებული დონის სტრუქტურა არსებითად არ შეცვლილა. მცირედ გაიზარდა არასრული დასაქმების ხვედრითი წონა, ფარული უმუშევრობის ხვედრითი წონა კი რამდენადმე შემცირდა. სხვა მხრივ, უმუშევრობის აგრეგირებული დონის შემადგენელი კომპონენტების ხვედრითი წონების ცვლილება სტატისტიკური ცდომილების ფარგლებშია და არსებითი არაა.

2.2 უმუშევრობისა და დასაქმების კვალიფიკაციური სტრუქტურის შესაბამისობა

შსო-ის კრიტერიუმებით იდენტიფიცირებულ უმუშევართაგან 2015 წელს 38 პროცენტი სერტიფიცირებული პროფესიის მიხედვით უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი იყო, უმუშევართა 17 პროცენტი - საშუალო დონის სპეციალისტი, ხოლო 4 პროცენტი - საშუალოზე დაბალი კვალიფიკაციის (უკანასკნელი მოიცავს მე-4-9 ჯგუფებს).[8]

უმუშევართა შორის ყველაზე მსხვილ ჯგუფს წარმოდგენდნენ ის უმუშევრები, რომელთაც სერტიფიცირებული პროფესია არ გააჩნიათ ანუ პროფესიის არმქონენი.

კვალიფიკაციის დონის მიხედვით გამსხვილებულ ჯგუფებში (იხილეთ ქვემოთ მოტანილი ცხრილი) უმუშევართა განაწილება 2009-2015 წლებში არსებითად არ შეცვლილა. შედარებით გამოკვეთილი ტენდენცია პროფესიის არმქონეთა ხვედრითი წონის უმნიშვნელო ზრდაა, რომელიც საკმაოდ სუსტია, ხოლო ცვლილებები - სტატისტიკურად არაარსებითი.

კვალიფიკაციის დონის მიხედვით გამსხვილებულ ჯგუფებში დასაქმებულთა 31 პროცენტი დიპლომის მიხედვით უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტია, 17 პროცენტი - საშუალო დონის სპეციალისტი,

[8] დასაქმებულთა და უმუშევართა განაწილება პროფესიების გამსხვილებულ ჯგუფებში განხორციელდა ISCO-ს კლასიფიკატორის ბაზაზე, რომელიც ერთნიშნა კოდების დონეზე მოიცავს 9 ძირითად ჯგუფს:
1 - ყველა დონის ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების ხელმძღვანელები, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელების ჩათვლით
2 - სპეციალისტები კვალიფიციის უმაღლესი დონით
3 - სპეციალისტები კვალიფიკაციის საშუალო დონით
4 - კანტორის მუშაკები
5 - მომსახურების სფეროსა და სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკები
6 - კვალიფიციური მუშაკები სოფლის, სატყეო, სამონადირეო მეურნეობების, მეთევზეობისა და თევზჭერის დარგში
7 - სამრეწველო საწარმოების, მხატვრული რეწვის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, გეოლოგიისა და წიაღის საძიებო სამუშაოების დარგის კვალიფიციური მუშები
8 - დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები, მეაპარატეები, მემანქანეები და ზეინკალ-ამწყობები
9 - არაკვალიფიციური მუშები

8 პროცენტი - საშუალოზე დაბალი დონის, ხოლო დასაქმებულთა 45 პროცენტს სპეციალობა არ გააჩნია. გამოკვეთილი ტენდენციებიდან აღსანიშნავია უმაღლესი დონის სპეციალისტების ხვედრითი წონის მცირედი ზრდა. სხვა მხრივ, რაიმე განსაკუთრებული ტრენდი დასაქმებულთა პროფესიების გამსხვილებულ ჯგუფებში, განაწილებას არ ახასიათებს.

მნიშვნელოვანია დასაქმების სტრუქტურის სასოფლო თვითდასაქმების გარეშე განხილვა, ვინაიდან ეს იმდენად მსხვილი და ამორფული ჯგუფია, რომ ფარავს დანარჩენ სექტორებში მიმდინარე ტენდენციებს.

სასოფლო თვითდასაქმების გარეშე მთლიანი დასაქმების 50 პროცენტი 2015 წელს უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები იყვნენ, 16 პროცენტი - საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტები, ხოლო 9 პროცენტი - საშუალოზე დაბალი კვალიფიკაციის სპეციალისტები. სასოფლო თვითდასაქმების გარეშე დასაქმებულთა 25 პროცენტს პროფესია არ აქვს.

ცხრილი N1: დასაქმებულთა და უმუშევართა განაწილება პროფესიების გამსხვილებულ ჯგუფებში (პროცენტი)

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
უმუშევართა განაწილება სერტიფიცირებული პროფესიების გამსხვილებულ ჯგუფებში							
უმაღლესი დონის სპეციალისტები	37	39	41	39	40	39	38
საშუალო დონის სპეციალისტები	18	18	17	18	15	15	17
დანარჩენი სპეციალისტები	8	7	5	5	7	5	4
პროფესია არ აქვთ	37	36	37	38	39	41	41
სულ	100	100	100	100	100	100	100
დასაქმებულთა განაწილება სერტიფიცირებული პროფესიების გამსხვილებულ ჯგუფებში							
უმაღლესი დონის სპეციალისტები	28	29	28	29	30	29	31
საშუალო დონის სპეციალისტები	17	19	19	19	18	18	17
დანარჩენი სპეციალისტები	9	9	8	8	8	8	8
პროფესია არ აქვთ	46	43	45	45	44	44	45
სულ	100	100	100	100	100	100	100
დასაქმებულთა განაწილება სერტიფიცირებული პროფესიების გამსხვილებულ ჯგუფებში (სასოფლო თვითდასაქმების გარეშე)							
უმაღლესი დონის სპეციალისტები	48	49	49	49	50	49	50
საშუალო დონის სპეციალისტები	17	20	20	19	18	17	16
დანარჩენი სპეციალისტები	11	10	9	9	9	9	9
პროფესია არ აქვთ	24	21	22	23	23	24	25
სულ	100	100	100	100	100	100	100

წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

მთლიანი დასაქმების სტრუქტურისგან საკმაოდ განსხვავდება დასაქმების სტრუქტურა სასოფლო თვითდასაქმების გარეშე (იხილეთ ცხრილი N1), რაც პროფესიის არმქონეთა ხვედრითი წონის არსებით შემცირებასა და უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების ხვედრითი წონის ზრდაში გამოიხატება. გამოკვეთილი ტენდენციებიდან აქ აღსანიშნავია აგრეთვე საშუალო და დაბალი კვალიფიკაციის სპეციალისტების ხვედრითი წონის შემცირება.

კვალიფიკაციის დონის მიხედვით დასაქმებულთა და უმუშევართა სტრუქტურების შედარებისათვის კვლევაში გამოყენებულია კორელაციური ანალიზის მეთოდი. კორელაციის კოეფიციენტი საკმაოდ ზუსტად აჩვენებს სტრუქტურათა მსგავსების ხარისხს და მიმართულებას. უფრო ღრმა ანალიზისათვის რეკომენდირებულია ფაქტორული ანალიზის გამოყენება.

როგორც გამსხვილებული ჯგუფების შედარებითი ანალიზი აჩვენებს, სერტიფიცირებული პროფესიების გამსხვილებულ ჯგუფებში უმუშევართა განაწილება იმავე ჯგუფებში მთლიანად დასაქმებულთა განაწილების სტრუქტურის მსგავსია. კორელაციის კოეფიციენტი თითქმის 1-ის ტოლია, რაც იმას ნიშნავს, რომ ორივე სტრუქტურა ფაქტობრივად იდენტურია.

სასოფლო თვითდასაქმების გარეშე დასაქმებულთა სტრუქტურა და უმუშევართა სტრუქტურა შედარებით ნაკლებად იდენტურია და კორელაციის კოეფიციენტი 0.9091 ნიშნულზე ჩამოდის.



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

მთლიანი დასაქმების და უმუშევრობის სტრუქტურათა კორელაციის კოეფიციენტი 2009-2015 წლებში გამოკვეთილი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, ხოლო არასასოფლო დასაქმების და უმუშევართა სტრუქტურის კორელაციის კოეფიციენტი - კლების ტენდენციით. უმუშევართა სტრუქტურა ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა. ამდენად, ცვლილებას დასაქმებულთა სტრუქტურებს შორის განსხვავება განაპირობებს, რომელიც, როგორც კორელაციის კოეფიციენტების ტენდენცია აჩვენებს, ზრდადია. განსხვავების ძირითადი მიზეზი პროფესიის არმქონეთა ხვედრითი წონის მაჩვენებელია, რომელიც სასოფლო თვითდასაქმების მნიშვნელოვანი მდგენელია.

ამრიგად, სასოფლო თვითდასაქმება არის დასაქმების ის ამორფულად მსხვილი და ძალზედ დაბალი ეფექტიანობის მქონე სფერო, რომელიც ახდენს პროფესიის არმქონე სამუშაო ძალის აბსორბციას და აუმჯობესებს დასაქმების სტატისტიკურ სურათს. ეს, ცხადად გამოჩნდა შსო-ის კრიტერიუმით უმუშევრობის დონის მაჩვენებლების ქალაქ-სოფლის მიხედვით არსებული განსხვავებისა და უმუშევრობის აგრეგირებული მაჩვენებლის იმავე განსხვავების შედარებისას.

აქედან გამომდინარე, დასაქმების სტრუქტურის სისტემური გაუმჯობესების აუცილებელი წინაპირობა პროფესიის არმქონეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის პროფესიული განათლების სპეციალური პროგრამის შემუშავება და ამოქმედებაა.

ზემოთ განხილული იყო დასაქმებულთა და უმუშევართა კვალიფიკაციის დონის მიხედვით განაწილების კორელაცია ISCO-ს ერთნიშნა კოდების დონეზე, გამსხვილებულ ჯგუფებში, რის გამოც გამოყოფილი ჯგუფები ნაკლებად ჰომოგენურია.

ISCO-ს ორნიშნა კოდების[9] დონეზე განხილული დასაქმებულთა და უმუშევართა სტრუქტურა

[9] ISCO-ს ორნიშნა კოდების ჩამონათვალი შემდეგია:
11 - ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების ხელმძღვანელები (წარმომადგენლები)
12 - დაწესებულებების, ორგანიზაციების, საწარმოებისა და მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების (სამსახურების) ხელმძღვანელები
13 - მცირე დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელები
21 - სპეციალისტები საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერების დარგში
22 - ბიოლოგიის, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებებისა და ჯანდაცვის დარგის სპეციალისტები
23 - განათლების დარგის სპეციალისტები
24 - სხვა სპეციალისტები კვალიფიკაციის უმაღლესი დონით
31 - სპეციალისტები კვალიფიკაციის საშუალო დონით ფიზიკურ და ტექნიკურ მეცნიერებათა დარგში
32 -სპეციალისტები კვალიფიკაციის საშუალო დონით საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ჯანდაცვის დარგში და დამხმარე პერსონალი
33 - სპეციალისტები კვალიფიკაციის საშუალო დონით განათლების სფეროში
34 - საშუალო პერსონალი საფინანსო, ადმინისტრაციული და სოციალური საქმიანობის სფეროში
41 - ინფორმაციის მომზადებითა და დამუშავებით დაკავებული მოსამსახურეები
42 - მომსახურების სფეროს მუშაკები
51 - ინდივიდუალური მომსახურებისა და მოქალაქეთა და საკუთრების დაცვის სფეროს მუშაკები
52 - მოდელები, გამყიდველები და საქონლის დემონსტრატორები
53 - კომუნალური მეურნეობის მუშაკები
54 - კინოსა და ტელესტუდიების მუშები
55 - სარეკლამო-გასაფორმებელ და სარესტავრაციო სამუშაოებზე დაკავებული მუშები

შედარებით უფრო ჰომოგენურ ჯგუფებს გამოყოფს. ამდენად, ამ ჭრილში კორელაციის ხარისხი უფრო მრავლისმეტყველია, ვიდრე გამსხვილებული ჯგუფების შემთხვევაში.

დიაგრამა N6



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

დასაქმებულთა და უმუშევართა კვალიფიკაციური სტრუქტურა ISCO-ს ორნიშნა კოდების მიხედვითაც იდენტურია: კორელაციის კოეფიციენტი თითქმის 1-ის ტოლია ანუ დასაქმებულთა და უმუშევართა სტრუქტურა ამ შემთხვევაშიც მსგავსია. აღსანიშნავია, რომ 2009-2015 წლებში კორელაციის კოეფიციენტი ზრდის ტენდენციას ავლენდა ანუ დასაქმებულთა და უმუშევართა პროფესიულ-ცენზობრივი სტრუქტურა სულ უფრო ემსგავსება ერთმანეთს.

სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმების გარეშე კორელაციის კოეფიციენტი, შემცირების მიუხედავად, მაინც ძალიან მაღალ ნიშნულზეა - 0.9366. ამ მაჩვენებლის ტენდენცია საკვლევ პერიოდში ფაქტობრივ უძრაობას აფიქსირებდა.

61 - საბაზრო ორიენტაციის მქონე კვალიფიციური მუშაკები სოფლის, სატყეო, სამონადირეო მეურნეობების, მეთევზეობისა და თევზჭერის დარგში
62 - კვალიფიციური მუშაკები სოფლის, სატყეო, სამონადირეო მეურნეობების, მეთევზეობისა და თევზჭერის დარგში
71 - მუშები, დაკავებული მოპოვებით მრეწველობაში და მშენებლობაზე
72 - ლითონდამამუშავებელი მრეწველობის, მანქანათმშენებლობისა და მონათესავე პროფესიების მუშები
73 - მუშები, დაკავებული პრეციზიული ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების დამზადებით, მხატვრული სარეწის, პოლიგრაფიული წარმოებისა და სხვა მონათესავე პროფესიების მუშები
74 - მრეწველობისა და მონათესავე პროფესიების დანარჩენი კვალიფიციური მუშები
75 - ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშების პროფესიები
76 - გეოლოგიაში და წიაღის საძიებო სამუშაოებზე დასაქმებული მუშების პროფესიები
81 - სამრეწველო დანადგარების ოპერატორები, მეაპარატეები და მემანქანეები
82 - ლითონდამმუშავებელი და მინერალური ნედლეულის გადასამუშავებელი მოწყობილობების ოპერატორები და მემანქანეები
83 - მოძრავი მოწყობილობების მძღოლები, ოპერატორები და მემანქანეები
91 - ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს არაკვალიფიციური მუშები
92 - სოფლის, სატყეო, სამონადირეო მეურნეობების, მეთევზეობისა და თევზჭერის არაკვალიფიციური მუშები
93 - მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტში, კავშირგაბმულობაში, გეოლოგიასა და წიაღისეულის ძიებაში დაკავებული არაკვალიფიციური მუშები
94 - არაკვალიფიციური მუშები ყველა დანარჩენ დარგში



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

თუ სტრუქტურას პროფესიის არმქონეთა გარეშე განვიხილავთ (იხილეთ დიაგრამა N7), სერტიფიცირებული პროფესიების მიხედვით დასაქმებულთა და უმუშევართა სტრუქტურა ისევ იდენტურია, მაგრამ არის ერთი, ნაკლებად მასშტაბური, თუმცა შინაარსით მნიშვნელოვანი განსხვავება: პროფესიის არმქონეთა გარეშე, ISCO-ს ორნიშნა კოდების მიხედვით დასაქმებულთა და უმუშევართა სტრუქტურა სასოფლო თვითდასაქმებულთა ჩათვლით შედარებით ნაკლებად კორელირებენ ერთმანეთთან, ვიდრე სასოფლო თვითდასაქმებულების გათვალისწინების გარეშე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სასოფლო თვითდასაქმების ფაქტორი ამ შემთხვევაში კორელაციას ამცირებს, რაც იმითაა გამოწვეული, რომ პროფესიის არმქონეთა ძირითად თავშესაფარს სწორედ სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმება წარმოადგენს.

2.3 უმუშევრობის დინამიკა კვალიფიკაციის მიხედვით

2009-2015 წლების მანძილზე შსო-ის კრიტერიუმით, უმუშევრობის დონე ISCO-ს პროფესიების მე-2 ჯგუფში, ანუ უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებს შორის, როგორც წესი, უმუშევრობის საშუალო დონეზე მაღალი იყო, მიუხედავად საკმაოდ მყარი შემცირების ტენდენციისა.

უმუშევრობის მაჩვენებელი ამ ჯგუფში 2015 წელს 20.8 პროცენტით აღემატებოდა უმუშევრობის საშუალო დონეს. როგორც შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემებიდან ჩანს, სწორედ სპეციალისტთა ეს კატეგორიაა უმუშევრობის მაღალი რისკის მატარებელი. ყველა სხვა ჯგუფში უმუშევრობის დონე საშუალოზე ნაკლებია.

საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტებს შორის უმუშევრობის დონე უმუშევრობის საშუალო დონეზე ოდნავ ნაკლებია და მასაც შემცირების ტენდენცია ახასიათებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავი დაბალი კვალიფიკაციის სპეციალისტებს შორის უმუშევრობის საშუალოსთან შედარებით თითქმის ორჯერ დაბალი დონეა. ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ ეს მაჩვენებელი 2009-2015 წლებში ყოველთვის საშუალოზე ნაკლები იყო, ბოლო სამი წლის განმავლობაში კი კიდევ უფრო დაეცა.

დიაგრამა N8



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

აღსანიშნავია ისიც, რომ შსო-ის კრიტერიუმით უმუშევრობის დონე პროფესიის არმქონეთა ჯგუფში საშუალომაჩვენებელზე 6.2 პროცენტით დაბალია. ამისერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი სოფლის მეურნეობაში მასობრივი დასაქმებაა. ნიშანდობლივია, რომ უმუშევრობის დონე მოცემულ ჯგუფშიც მთელი საკვლევი პერიოდის მანძლზე, საშუალოზე დაბალი იყო, თუმცა ეს განსხვავება არ იყო ისეთი მასშტაბური, როგორც დაბალი კვალიფიკაციის სპეციალისტების შემთხვევაში.

დიაგრამა N9



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

ყოველივე ზემოთქმული იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს შრომის ბაზარზე გენერირებული სამუშაო ადგილების უმეტესობა არ მოითხოვს მაღალ კვალიფიკაციას.

რაც შეეხება სასოფლო თვითდასაქმებას, იგი შესაძლოა საკმაოდ მაღალ კვალიფიკაციას მოითხოვს, მაგრამ საქართველოს შემთხვევაში ძირითადად მაინც ტრადიციებს ეფუძნება. საქართველოს სოფელში მცხოვრებ შრომისუნარიანი ასაკის ადამიანს შეიძლება არ ჰქონდეს მეღვინის სერტიფიკატი, მაგრამ ვაზის მოვლა და ღვინის დაყენება მისი ცხოვრების წესის ნაწილია, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. ანალოგიური რამ შეიძლება ითქვას, მაგალითად, თუშ მეცხვარეზე, რომელსაც არ აქვს ყველის დამზადების სპეციალისტის სერტიფიკატი (რაც თავისთავად საკმაოდ მაღალ კვალიფიკაციას გულისხმობს), თუმცა ის მართლაც მაღალი თანრიგის სპეციალისტია თაობების მანძილზე დაგროვილი გამოცდილებით, ოღონდ - სერტიფიკატის გარეშე.

2.4 უმუშევრობის სტრუქტურა ხანგრძლივობის მიხედვით

უმუშევრობის შეფასების ერთერთი მნიშვნელოვანი ასპექტი უმუშევრობის ხანგრძლივობის ანალიზია. ამას საფუძვლად რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება უდევს, რომელთაგან ორი ყველაზე მნიშვნელოვანია:

1. ხანგრძლივი უმუშევრობა იწვევს დეკვალიფიკაციას;
2. მაღალი კვალიფიკაციის უმუშევრები შესაძლოა უფრო მეტად იყვნენ ხანგრძლივი უმუშევრობით მოწყვლადი, ვინაიდან მათი შესაბამისი კვალიფიკაციის სამუშაოს მოძიება შედარებით ძნელია.

როგორც შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემებიდან ჩანს, 1 თვემდე და 1-დან 3 თვემდე ხანგრძლივობის უმუშევრობის ხვედრითი წონა შსო-ის კრიტერიუმით უმუშევრებში, საკვლევი პერიოდის მანძილზე სტაბილურად 6-8 პროცენტის ნიშნულის მახლობლობაშია და რაიმე ჩამოყალიბებულ ტენდენციას არ აჩვენებს.

3-დან 12 თვემდე ხანგრძლივობის უმუშევრობა 2015 წელს მთლიანი უმუშევრობის 18 პროცენტი იყო და ასეთი ხანგრძლივობის უმუშევრობის ხვედრითი წონა 2009-2015 წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა.

ხანგრძლივობის მიხედვით უმუშევრობის სტრუქტურიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია 3 წელზე მეტი ხანგრძლივობის უმუშევრების ხვედრითი წონის ზრდა და მუშაობის გამოცდილების არმქონე უმუშევართა შემცირება.

საყურადღებოა, რომ ისეთი უმუშევრების ხვედრითი წონა, რომლებსაც არასოდეს უმუშავიათ, მიუხედავად შემცირების ტენდენციისა, 2015 წელს მაინც 25-პროცენტიან ნიშნულზეა, ანუ შსო-ს კრიტერიუმით უმუშევრების 25 პროცენტს არასოდეს უმუშავია. ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

დიაგრამა N10



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

სამუშაო გამოცდილების არმქონეთა მაღალი ხვედრითი წონის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელის ერთერთ სავარაუდო მიზეზად შეიძლება განვიხილოთ ასაკი. კერძოდ, ის გარემოება, რომ შრომითი ასაკი 15 წლიდან იწყება და მიუხედავად იმისა, რომ შსო-ის კრიტერიუმით უმუშევრობა გამორიცხავს

უმუშევრებში სტუდენტების და მოსწავლეების მოხვედრას (25 წლამდე ასაკის მოსახლეობიდან 59.6 პროცენტი არ მიეკუთვნება ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას, ხოლო თავად ამ ასაკის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში უმუშევრობის დონე 30.8 პროცენტია, ანუ უმუშევრობის საშუალო დონეზე 2.5-ჯერ მაღალი), მაინც არის საკმაოდ დიდი შანსი იმისა, რომ ასაკის გამო შსო-ის კრიტერიუმით უმუშევარს არ ჰქონდეს სამუშაო გამოცდილება.

ასაკის ფაქტორის გათვალისწინებით, შედარებით უფრო ინფორმატიულია 25 წელზე უფროსი ასაკის უმუშევრობის ხანგრძლივობის სტრუქტურა. 25 წელზე უფროსი ასაკის უმუშევრისათვის სამუშაო გამოცდილების არქონა განსხვავებული თანრიგის ფაქტორია, ვიდრე 25 წლამდე ასაკიანთა შემთხვევაში.

25 წელზე უფროსი ასაკის უმუშევრების სტრუქტურა დაახლოებით ისეთივეა, როგორც მთლიანად უმუშევარი მოსახლეობის განაწილების სტრუქტურა, თუმცა პროპორციებს შორის განსხვავება არსებობს და ეს განსხვავებები არსებითია. სამუშაო გამოცდილების არქონეთა ხვედრითი წონა 13 პროცენტია, რაც თითქმის ორჯერ დაბალია მთლიანად უმუშევრების განაწილების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

3 წელზე უფრო მეტი ხანგრძლივობის უმუშევართა ხვედრითი წონა 25 წელზე უფროსი ასაკის უმუშევრებიდან 33 პროცენტია, რაც არსებითად აღემატება მთლიანად უმუშევრების განაწილების ანალოგიურ მაჩვენებელს.

ანუ საკმაოდ მაღალი კატეგორიულობით შეიძლება ითქვას, რომ ასაკის ზრდასთან ერთად რამდენადმე იზრდება ხანგრძლივი უმუშევრობის ალბათობა.

დიაგრამა N11



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

ხანგრძლივობის თვალსაზრით 1 წლამდე უმუშევრობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ხანმოკლე უმუშევრობა, ხოლო უმუშევრობა, რომელიც 1 წელზე მეტი გრძელდება - როგორც ხანგრძლივი უმუშევრობა, რომელიც სცილდება ფრიქციული უმუშევრობის ფარგლებს, შეიცავს დეკვალიფიკაციის არსებით საფრთხეს და, ფაქტობრივად, სტრუქტურული უმუშევრობის განზომილებაში გადადის.

გარდა ამისა, მსხვილ ჯგუფებად აგრეგირება განპირობებულია იმითაც, რომ წვრილ ჯგუფებში შეფასებების საიმედოობა არსებითად დაბალია გამსხვილებულ ჯგუფებში შეფასებებთან შედარებით. მით უმეტეს, რომ ასეთი აგრეგირებით საკმაოდ ჰომოგენური ჯგუფები მიიღება.

უმუშევართა 32 პროცენტს 1 წლამდე ხანგრძლივობის უმუშევრები შეადგენდნენ, ხოლო 43 პროცენტს - 1 წელზე მეტი ხნის უმუშევრები. უმუშევართა 25 პროცენტს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არასოდეს უმუშავიათ.

დიაგრამა N12



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

დიაგრამა N13



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ

ზემოაღნიშნული განაწილებებიდან გამომდინარე, ხანგრძლივ უმუშევრებად ჩავთვალეთ უმუშევრები, რომლებიც აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს:

1. განაცხადეს, რომ 1 წელზე მეტია, რაც უმუშევრები არიან;
2. 25 წელზე უფროსი ასაკის ის უმუშევრები, რომლებსაც არასდროს უმუშავიათ. უკანასკნელი დაშვება განპირობებულია იმით, რომ სამუშაო გამოცდილების საერთოდ არქონა სწავლის გამო მეტნაკლებად ახსნადია ახალგაზრდა ასაკში, მაგრამ ასაკის ზრდასთან ერთად ეს არგუმენტი ძალას კარგავს.

ასეთი დაშვებების საფუძველზე გაკეთებული გაანგარიშების მიხედვით (იხელეთ დიაგრამა N13), უმუშევრების 48 პროცენტი ხანმოკლე უმუშევრები არიან, ხოლო 52 პროცენტი - ხანგრძლივი უმუშევრები. 2009-2015 წლის მანძილზე ხანგრძლივობის ნიშნით უმუშევრობის განაწილება არსებითად არ შეცვლილა. შეიძლება ითქვას, რომ შეინიშნება ხანგრძლივი უმუშევრობის შემცირების სუსტი ტენდენცია, რომელიც არსებითი ცვლილების მაჩვენებელი არ არის.

2.5 უმუშევრობის სტრუქტურა განათლების მიღწეული დონის მიხედვით

შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა იძლევა განათლების მიღწეული დონის მიხედვით სხვადასხვა მაჩვენებლების გაანგარიშების შესაძლებლობას. ამისათვის შინამეურნეობის ინტეგრირებულ გამოკვლევაში გამოიყენება განათლების მიღწეული დონის კოდირების 11 საფეხურიანი სისტემა. გამომდინარე იქედან, რომ 11 ჯგუფად დაშლილი მონაცემთა მასივი ვერ უზრუნველყოფს საიმედო შეფასებების გენერირებას, მიზანშეწონილია თითოეული ჯგუფის გამსხვილებულ ჯგუფებში განხილვა. ჯგუფების გამსხვილება განხორციელდა შინაარსის მიხედვით და არა მექანიკურად. კერძოდ, ზემოაღნიშნული 11 ჯგუფი 4 ძირითად ბლოკად გაერთიანდა:

1. სუბიექტები საშუალოზე დაბალი განათლებით, სადაც შევიდნენ ისინი, ვისი განათლების მიღწეული დონის შესაბამისი კოდი იყო:
   - წერა-კითხვის უცოდინარი;
   - არ აქვს დაწყებითი განათლება, მაგრამ შეუძლია წერა-კითხვა;
   - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური;
   - ზოგადი განათლების საბაზო საფეხური.
2. სუბიექტები საშუალო განათლებით, სადაც შევიდნენ ისინი, ვისი განათლების მიღწეული დონის შესაბამისი კოდი იყო:
   - სრული ზოგადი განათლება (საშუალო სკოლა).
3. სუბიექტები პროფესიული განათლებით, სადაც შევიდნენ ისინი, ვისი განათლების მიღწეული დონის შესაბამისი კოდი იყო:
   - სახელობო განათლების სერთიფიკატი (დაწყებითი პროფესიული განათლების დიპლომი);
   - საშუალო პროფესიული (საშუალო სპეციალური) განათლების დიპლომი.
4. სუბიექტები უმაღლესი განათლებით, სადაც შევიდნენ ისინი ვისი განათლების მიღწეული დონის შესაბამისი კოდი იყო:
   - უმაღლესი პროფესიული განათლების ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომი;
   - ბაკალავრის ან დიპლომირებული მედიკოსის/ვეტერინარის ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომი;
   - მაგისტრის/რეზიდენტურის კურსდამთავრებულის ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომი;
   - დოქტორი ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

ანალიზმა აჩვენა (იხილეთ დიაგრამა N14), რომ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 6 პროცენტს საშუალოზე დაბალი განათლება ჰქონდა; 41 პროცენტს - საშუალო განათლება; 22 პროცენტს - პროფესიული, ხოლო 31 პროცენტს - უმაღლესი განათლება. განაწილება 2009-2015 წლების განმავლობაში პრაქტიკულად არ შეცვლილა. გამონაკლისი მხოლოდ 2010 წელი იყო, ისიც- ტექნიკური და არა შინაარსობრივი ხასიათის მიზეზით[10].

[10] აღსანიშნავია, რომ 2009 წელს გამოყენებული იყო განათლების მიღწეული დონის კოდირების 7 საფეხურიანი სისტემა, რომელიც ასევე აგრეგირდება ზემოაღნიშნულ 4 ჯგუფში. კოდირების სისტემა 2010 წელს შეიცვალა. კოდირების ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა არსებითი ზეგავლენა მოახდინა 2010 წლის განაწილებაზე. ამას დაემატა ისიც, რომ ცვლილება განხორციელებულია 2010 წლის მე-2 და მე-3 კვარტალურ გამოკვლევებს შორის და გარდამავალი პერიოდის ბაზის აგრეგირება საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ამდენად, 2010 წლის განაწილება კონტექსტიდან რამდენადმე ამოვარდნილია.



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

შსო-ის კრიტერიუმით უმუშევრობის დონე უმაღლესი განათლების მქონე ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში, როგორც წესი, უფრო მაღალია, ვიდრე უმუშევრობის საშუალო დონე. აღსანიშნავია, რომ ორივე ეს მაჩვენებელი საკვლევ პერიოდში შემცირების ტენდენციას ავლენდა, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობაში უმუშევრობის მაჩვენებელის შემცირების ტენდენცია უფრო ძლიერია, 2009-2015 წლებში ის თანდათან უახლოვდება უმუშევრობის საშუალო მაჩვენებელს. შემცირების დადებითი ტენდენცია განსაკუთრებით 2014-2015 წლებში გაძლიერდა. განათლების ყველა სხვა დონის ჯგუფში უმუშევრობის მაჩვენებელი უფრო დაბალია ვიდრე საშუალო მაჩვენებელი. აქედან განსაკუთრებით აღსანიშნავია საშუალოზე დაბალი განათლების მქონეთა ჯგუფი, სადაც უმუშევრობის დონე ყველაზე დაბალია.

მთლიანობაში, 2009-2015 წლების ტენდენციებიდან აღსანიშნავია განათლების სხვადასხვა დონის ჯგუფებში უმუშევრობის მაჩვენებლების დაახლოების ტენდენცია: 2015 წლის მონაცემებით უმუშევრობის დონეებს შორის განსხვავება ისეთი არსებითი აღარაა, როგორიც იყო 2009 ან 2011 წლებში.

3. დასაქმების სტრუქტურა

3.1 დასაქმების სექტორული სტრუქტურა

სექტორების მიხედვით დასაქმების სტრუქტურა ასახავს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნის და მიწოდების წონასწორობის მდგომარეობას. ეს არის ერთგვარი შედეგი, რომელიც მოიცავს შრომის ბაზარზე არსებულ ყველა - ეპიზოდურ, სტრუქტურულ თუ სისტემურ პრობლემას.

დასაქმების სტრუქტურა საქართველოში ერთობ სპეციფიკურია (იხილეთ დიაგრამა N15). მთლიანი დასაქმების თითქმის ნახევარი - 48.4 პროცენტი - სოფლის მეურნეობაზე მოდის. ნიშანდობლივია, რომ სოფლის მეურნეობის ხვედრითი წონის მაჩვენებელი 2009-2015 წლებში შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა და პირველად ბოლო 25 წლის მანძილზე ჩამოსცდა 50 პროცენტს. ეს უდავოდ პოზიტიური ნიშანია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში განუხრელი კლების ტენდენციით გამოირჩეოდა და მხოლოდ ბოლო ორი წლის მანძილზე გამოიკვეთა ამ მაჩვენებელის სუსტი ზრდა. მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობის ხვედრითი წონა მთლიან დასაქმებაში არსებითად სწორედ ბოლო ორი წლის მანძილზე შემცირდა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით პოზიტიურ დატვირთვას იძენს დასაქმების დონის უმნიშვნელო, მაგრამ მაინც, ზრდის ფონზე, რაც იმას ნიშნავს, რომ გაიზარდა სხვა დარგებში დასაქმებულთა რაოდენობა. სოფლის მეურნეობის ხვედრითი წონა მთლიან დასაქმებაში იმდენად დიდია, რომ აქ თვითდასაქმებულთა რამდენიმე პროცენტიანი შემცირება არსებითად ვერ ცვლის დასაქმების საერთო ეფექტიანობის დონეს, მაგრამ საკუთრივ სასოფლო თვითდასაქმების შემცირება ცალსახად დადებითი მოვლენაა.

დიაგრამა N15



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

დასაქმების სტრუქტურაში შემდეგი წონადი კომპონენტია ვაჭრობა და საყოფაცხოვრებო მომსახურება, რომლის ძირითადი ნაწილი ვაჭრობაა. ამ სექტორის ხვედრითი წონის მაჩვენებელი სტაბილურად 10 პროცენტის მახლობლობაში იყო მთელი საკვლევი პერიოდის განმავლობაში და რაიმე გამოკვეთილი ტენდენცია აქ არ შეინიშნებოდა.

ანალოგიური რამ შეიძლება ითქვა დასაქმების სტრუქტურის კიდევ ერთ მნიშვნელოვან შემადგენელზე - განათლების სექტორზე.

დასაქმების სტრუქტურის საქართველოს სპეციფიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი განხილვა სასოფლო თვითდასაქმების გარეშე, რამდენადაც უკანასკნელის ხვედრითი წონა იმდენად მაღალია, რომ ყველა სხვა სექტორში მიმდინარე პროცესებისა და ტენდენციების ნიველირებას ახდენს. (იხილეთ დიაგრამა N16).

სასოფლო თვითდასაქმების გარეშე დასაქმების სტრუქტურაში შედარებით გარჩევადი ხდება სხვა დარგების ხვედრითი წონა. მიუხედავად ამისა, ძალიან დაბალია სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობაში, ანუ ეკონომიკის რეალურ სექტორში, დასაქმებულთა ხვედრითი წონა. 2009-2015 წლებში ეს მაჩვენებელი 11 პროცენტის მახლობლობაში იყო.

მთლიანობაში, საკვლევ პერიოდში სასოფლო თვითდასაქმების გარეშე დასაქმების სტრუქტურა არსებითად არ შეცვლილა. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან ასეთ ცვლილებებს თვითდინების პირობებში ათეული წლების სჭირდება, თუმცა ეფექტიანი ინდუსტრიული პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების შემთხვევაში შესაძლებელია შრომის ბაზრის სტრუქტურის არსებითი ცვლილება 3-4 წლის მანძილზეც კი.

დიაგრამა N16



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

როგორც N15 და N16 დიაგრამებში ასახული მონაცემები ადასტურებენ, დეტალური სექტორული განაწილება ნაკლებად ინფორმატიულია. უფრო საყურადღებო შეიძლება იყოს განაწილება ეკონომიკური საქმიანობების უფრო მსხვილ ჯგუფებში - რეალურ სექტორსა და მომსახურების სფეროში. ამასთან, სასარგებლო იქნება გავითვალისწინოთ საქართველოში დასაქმების დარგობრივი სტრუქტურის სპეციფიკა და განხილული 16 სექტორიდან გამოვყოთ 3 ძირითადი ეკონომიკური თვალსაზრისით ერთმანეთისაგან ძალზედ მნიშვნელოვნად განსხვავებული ჯგუფი (იხილეთ დიაგრამა N17):

1. აგრარული სექტორი, სადაც შევიდნენ სოფლის მეურნეობაში, მეტყევეობასა და თევზჭერის სექტორში დასაქმებულები. საქართველოს შემთხვევაში მათი აბსოლუტური უმრავლესობა - 95 პროცენტზე მეტი სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულები არიან. ცხადია, ესეც ეკონომიკის რეალური სექტორია, მაგრამ შინაარსით დასაქმების აღნიშნული ფორმა უფრო სოციალურ დატვირთვას ატარებს, ვიდრე ეკონომიკურს. აქედან გამომდინარე, ეკონომიკის რეალურ სექტორში სოფლის მეურნეობის ჩართვა, ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მიზანშეუწონლად ჩავთვალეთ;
2. რეალური სექტორი, სადაც შევიდნენ სამთო მომპოვებელ მრეწველობაში, გადამამუშავებელ მრეწველობაში, მშენებლობის და ელექტროენერგეტიკის, გაზის და წყალმომარაგების სექტორებში დასაქმებულები;
3. მომსახურების სექტორი, სადაც შევიდნენ დანარჩენი სექტორების წარმომადგენლები, იმ სექტორებისა, რომლებიც პროდუქციას ნატურალურ-ნივთობრივი ფორმით არ აწარმოებენ.

აგრარულ სექტორში დასაქმების ამორფულად მაღალი ხვედრითი წონის შესახებ უკვე აღინიშნა. ეს მოვლენა საქართველოს ეკონომიკის ერთერთი უმთავრესი პრობლემაა. ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანი ეკონომიკის რეალურ სექტორსა და მომსახურების სფეროში დასაქმების პროპორციებია.



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემებით, ეკონომიკის რეალურ სექტორში დასაქმების ხვედრითი წონა მთლიანი დასაქმების 10.6 პროცენტია და ეს მაჩვენებელი 2009-2015 წლების მანძილზე უცვლელი დარჩა.

მომსახურების სექტორში დასაქმების ხვედრითი წონა 2015 წელს 41.0 პროცენტი იყო და 2009-2015 წლებში ზრდის ტენდენციით გამოირჩეოდა.

ერთგვარი შეჯამებისათვის შეიძლება ითქვას, რომ დასაქმების სტრუქტურაში ბოლო 6 წლის მანძილზე განვითარებული პოზიტიური მოვლენები, რომელიც აგრარული სექტორის ხვედრითი წონის შემცირებაში გამოიხატა, ძირითადად მომსახურების სფეროში დასაქმების ხვედრითი წონის ზრდით იყო განპირობებული. აღნიშნული პოზიტივი ეკონომიკის რეალურ სექტორს პრაქტიკულად არ შეხებია, რომლის ხვედრითი წონა უცვლელია.

უმუშევრობის სტრუქტურული ასპექტების შესწავლისათვის მნიშვნელოვანია დასაქმების შესწავლა პროფესიების მიხედვით ISCO-ს კლასიფიკატორის შესაბამისად.

პროფესიების მიხედვით დასაქმების სტრუქტურის ყველაზე მსხვილი მე-6 ჯგუფია, სადაც შედიან სოფლის, სატყეო, სამონადირეო მეურნეობების, მეთევზეობისა და თევზჭერის კვალიფიციური მუშაკები. ეს იმ სასოფლო თვითდასაქმებულთა არმიაა, რომელზეც 2015 წელს დასაქმებულთა 46.7 პროცენტი მოდიოდა. აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფის ხვედრითი წონა 2009-2015 წლებში შემცირების, ცალსახად დადებითი ტენდენციით გამოირჩევა.

დიაგრამა N18



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

ძალზე მნიშვნელოვანია კვალიფიკაციის დონის მიხედვით გამსხვილებულ ჯგუფებში დასაქმების ძირითად სექტორებში დასაქმებულთა განაწილება.

ამ ნიშნით სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა განაწილება ცალსახად პროფესიის არ მქონეთა სასარგებლოდაა: მათი ხვედრითი წონა 2015 წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა 66 პროცენტი იყო. ეს მაჩვენებელი საკვლევ პერიოდში თითქმის არ შეცვლილა.

დიაგრამა N19



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულებს შორის სტაბილურად 10 პროცენტია, საშუალო დონის სპეციალისტებისა კი - 18 პროცენტი. ამდენად, დასაქმების სტრუქტურის სისტემური ცვლილებისათვის საკმაოდ მძიმე პირობები იკვეთება, ვინაიდან აგრარული დასაქმების ასიმეტრიულად მაღალი ხვედრითი წონის შემცირებისათვის მეტნაკლებად მზად ამ სფეროში მომუშავეთა მხოლოდ 34 პროცენტია, ხოლო 66 პროცენტი ამ დარგიდან სხვა დარგში გადასასვლელად მზადარაა დაპროფესიულ-ტექნიკური სწავლების ფართომასშტაბიანი პროგრამის გარეშე დასაქმების სტრუქტურის ცვლილებას საკმაოდ დიდი დრო, შესაძლოა ათწლეულები, დასჭირდეს.

მრეწველობისა და მშენებლობის დარგებში დასაქმებულთა 31 პროცენტი უმაღლესი კვალიფიკაციის მუშაკები არიან, ხოლო 36 პროცენტი - პროფესიის არმქონენი. საყურადღებოა, რომ უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების ხვედრითი წონა აღნიშნულ ჯგუფში შემცირების, ხოლო პროფესიის არმქონეთა ხვედრითი წონა - ზრდის ტენდენციას ავლენს. უკანასკნელი საკმაოდ ძნელად ასახსნელია, თუმცა მთლიანობაში აქ შეიძლება ამ სფეროში დასაქმებულთა დეკვალიფიკაციის სუსტი, თუმცა ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური ტენდენცია დავინახოთ.

დიაგრამა N20



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში დასაქმებულთა 37 პროცენტი დიპლომის მიხედვით უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესიის მქონე სპეციალისტია. თითქმის ამდენივეს - 36 პროცენტს - პროფესია არ აქვს. 19 პროცენტი დიპლომის მიხედვით საშუალო დონის სპეციალისტია. პროფესიის არმქონეთა და უმაღლესი კვალიფიკაციის მქონეთა ხვედრითი წონის მაჩვენებელი ამ ჯგუფში სუსტად გამოხატული ზრდის ტენდენციით ხასიათდება, ხოლო საშუალო დონის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტთა ხვედრითი წონა შემცირების ტენდენციას ავლენს.

დიაგრამა N21



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

ყველაზე საინტერესო განათლების და ჯანდაცვის სფეროებში დასაქმებულთა კვალიფიკაციის მიხედვით განაწილებაა. ამ დარგებში დასაქმებულთა უდიდესი ნაწილი უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტია და მათი ხვედრითი წონა ზრდის პოზიტიურ ტენდენციას ავლენს. ამასთან, საკმაოდ დაბალია საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტთა ხვედრითი წონა, რომელიც შემცირების ტენდენციას ავლენდა. განათლების სფეროში ამგვარი ტენდენცია შეიძლება პოზიტიურად შეფასდეს, მაგრამ ჯანდაცვის სფეროში იგი უფრო არასახარბიელო მდგომარეობის მანიშნებელია.

დიაგრამა N22



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

ისეთ მრავალფეროვან ჯგუფში, როგორიცაა სახელმწიფო მართვის ორგანოები, ტრანსპორტი, სასტუმროები და მომსახურების სხვა სახეები, დასაქმებულთა ყველაზე დიდი ნაწილი უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებზე მოდის (იხილეთ დიაგრამა N23). სათითაოდ ამ ჯგუფების განხილვა საიმედო შეფასებებს ვერ იძლევა, თუმცა, უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე დასაქმებულთა ხვედრითი წონა ამ საკმაოდ ამორფულ ჯგუფში 2015 წელს ყველა წინა წელთან შედარებით მაღალი იყო, რაც შეიძლება დადებითი ტენდენციის დაწყების ნიშნად ჩაითვალოს.

3.2 სამუშაო ადგილების გენერაციის წყაროები

შრომის ბაზარზე მოთხოვნის შესწავლისათვის ძალზე მნიშვნელოვანია სამუშაო ადგილების განაწილება მათი გენერაციის წყაროების მიხედვით. ამ ნიშნით შინამეურეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზიდან გამოვყავით სამუშაო ადგილების ოთხი ტიპი:

1. სახელმწიფოს მიერ შექმნილი სამუშაო ადგილები - სადაც შევიდნენ სახელმწიფო დაწესებულებებში და სახელმწიფო სექტორის ორგანიზაციებში დასაქმებულები;
2. კერძო სექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ადგილები, სადაც შევიდნენ კერძო საწარმოებსა და ორგანიზაციებში დაქირავებით დასაქმებულები და თვითონ მეწარმეები დაქირავებული მუშაკებით;
3. საკუთარი უნარებით შექმნილი სამუშაო ადგილები, სადაც შევიდნენ ის არასასოფლო თვითდასაქმებულები, რომელთა დასაქმებაც მათი უნარების გამოყენებით მოხდა. ასეთ დასაქმებულებს მიეკუთვნენ ინდივიდუალური მეწარმეები, რომლებიც თავის პროფესიული ცოდნით არიან თვითდასაქმებულები;
4. სტიქიურად შექმნილი სამუშაო ადგილები, სადაც შევიდნენ სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულები, წვრილ ვაჭრობაში თვითდასაქმებულები, ტაქსისტები და სხვა, რაც არ მოითხოვს განსაკუთრებით მაღალ კვალიფიკაციას.

2015 წლის მდგომარეობით, სამუშაო ადგილების 53 პროცენტი სტიქიურად იყო შექმნილი, 27 პროცენტი - კერძო სექტორის მიერ იყო გენერირებული, 15 პროცენტი - სახელმწიფოსაგან, 4 პროცენტი კი - საკუთარ უნარებზე დაყრდნობით.

დიაგრამა N24



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

გამოკვეთილი ტენდენციები საკმაოდ მნიშვნელოვანია და საინტერესო სურათს აჩვენებს. 2009-2015 წლებში საკმაოდ მკაფიოდაა ჩამოყალიბებული სტიქიური სამუშაო ადგილების ხვედრითი წონის შემცირება და კერძო სექტორის მიერ გენერირებული სამუშაო ადგილების ხვედრითი წონის ზრდა. ამავე დროს შეინიშნება სახელმწიფოს მიერ შექმნილი სამუშაო ადგილების ხვედრითი წონის სუსტად გამოხატული შემცირება და საკუთარ უნარებზე დაყრდნობით შექმნილი სამუშაო ადგილების ხვედრითი წონის სტაბილურობა.

დიაგრამა N25



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

ზემოაღნიშნული ტენდენციები, მთლიანობაში, საკმაოდ მაღალი პოზიტივის მატარებელია, რაც სამუშაო ადგილების გენერირებაში კერძო სექტორის ხვედრითი წონის ზრდაში გამოიხატება, რომელიც ძირითადად სტიქიურად შექმნილი სამუშაო ადგილების ხვედრითი წონის შემცირების ხარჯზე ხდება. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ პრობლემის მასშტაბის ფონზე ეს დადებითი ტენდენციები საკმაოდ დაბალი ტემპით ხასიათდება.

წინამდებარე ანალიზი კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ დასაქმების სფეროში საქართველოს ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა სოფლად თვითდასაქმების ჰიპერტროფულად მაღალი ხვედრითი წონაა. სოფლად თვითდასაქმებისაგან აბსტრაგირებით, ზემოაღნიშნული ტენდენციები გაცილებით უფრო თვალსაჩინოდ და პოზიტიურად გამოიყურებიან (იხილეთ დიაგრამა N25).

4. სტრუქტურული უმუშევრობა

4.1 სტრუქტურული უმუშევრობა: მეთოდოლოგიური ასპექტი

სტრუქტურული უმუშევრობის მეტ-ნაკლებად ზუსტ პროცენტულ განზომილებაში შეფასება რთულია, განსაკუთრებით საქართველოში. ამისათვის აუცილებელია შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიების შესწავლა. საქართველოში სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვა უკვე დიდი ხანია აღარ ხორციელდება და მათი პროფესიული სტრუქტურის შეფასების ერთადერთი წყარო შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევაა.

სტრუქტურული უმუშევრობის პარადიგმა საქართველოში შეიძლება შემდეგნაირად აღიწეროს:

- განათლების სისტემა არ ან ვერ ამზადებს შესაბამისი (შრომის ბაზარზე მოთხოვნადი) სპეციალობის (კვალიფიკაციის) კადრებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, განათლების სისტემა და შრომის ბაზარი არ არის კონგრუენტული. მაგალითად, შრომის ბაზარზე არის მოთხოვნა ზოოტექნიკოსებზე, განათლების სიტემა კი ამზადებს არაადეკვატურად ჭარბი რაოდენობით ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტებს;
- მეორე მხრივ, განათლების სისტემა, როგორც უმაღლესი, ისე პროფესიული, ვერ იძლევა შესაბამის ცოდნას (კვალიფიკაციას) ანუ განათლების ცენზი და მისი მფლობელის ფაქტობრივი ცოდნა და შეძენილი უნარები ერთმანეთს არ შეესაბამება. მაგალითად, ინჟინრის დიპლომი არ ნიშნავს თანამედროვე ინჟინრის რეალურ კვალიფიკაციას. ამას შეიძლება ეწოდოს ცენზის შეუსაბამო კვალიფიკაციის პრობლემა.

ყოველივე ამის შედეგად, ქვეყნის ეკონომიკა ვერ უზრუნველყოფს ბაზარზე არსებული სამუშაო ძალის (შრომითი რესურსის) ადექვატური სამუშაო ადგილების გენერირებას. ამასთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს ეკონომიკა უპირატესად დაბალი კვალიფიკაციის სამუშაო ადგილებს ქმნის, რომელთა დაკავება უმეტეს შემთხვევებში, სპეციალურ განათლებას არ საჭიროებს.

განათლების სისტემის მიერ მომზადებული კადრი ხანგრძლივი უმუშევრობის შედეგად კარგავს კვალიფიკაციას, ან იძულებულია უფრო დაბალი კვალიფიკაციის (და ანაზღაურების) სამუშაოზე იმუშაოს. სამუშაო ძალის დეკვალიფიკაცია სტრუქტურული უმუშევრობის ერთერთი მთავარი ნეგატიური შედეგია, თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს პრობლემა, თავის მხრივ, არაერთგვაროვანია. არსებული ინფორმაციული მასივებით შესაძლებელია მხოლოდ იმის შეფასება, თუ:

- როგორია შსო-ის კრიტერიუმით უმუშევრებიდან უმაღლესი ან საშუალო კვალიფიკაციის მქონე ხანგრძლივი უმუშევრების ხვედრითი წონა;
- როგორია დასაქმებულთა შორის განათლების ცენზის შეუსაბამოდ, სერთიფიცირებულზე უფრო დაბალი კვალიფიკაციით დასაქმების ხვედრითი წონა.

ასეთი შეფასებების შესაძლებლობა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არ არსებობს. ამ კუთხით საქართველოში ინფორმაციული უზრუნველყოფის საკითხი საკმაოდ მაღალ დონეზეა, თუმცა არის შეფასებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი გარემოება, რომლის დროსაც ორივე ზემოაღნიშნულ პირობას თანაბარი წარმატებით შეიძლება აკმაყოფილებდნენ ის ადამიანები, რომელთათვისაც:

1. რეალური კვალიფიკაცია არ შეესაბამება ცენზით მიღებულს. ისინი ვერ პოულობენ ცენზის შესაბამისი კვალიფიკაციის სამუშაოს და/ან იძულებული არიან დათანხმდნენ დაბალი კვალიფიკაციის სამუშაოს, ან ხანგრძლივად ელოდონ საკუთარი ცენზის შესაბამისი კვალიფიკაციის სამუშაოს;
2. მიღებული კვალიფიკაციის ცენზი შეესაბამება მათ რეალურ უნარებს, მაგრამ შრომის ბაზრის ინსტიტუციური სისუსტის გამო ისინი ვერ ახერხებენ შესაბამისი კვალიფიკაციის სამუშაოს მოძებნას და/ან იძულებული არიან დათანხმდნენ დაბალი კვალიფიკაციის სამუშაოს, ან ხანგრძლივად ელოდონ საკუთარი ცენზის შესაბამისი კვალიფიკაციის სამუშაოს, ვინაიდან არ აქვთ სამუშაოს მოძებნისათვის საჭირო არაფორმალური კავშირები;
3. ცენზის მიხედვით კვალიფიკაცია, ანუ დიპლომი მიღებული აქვთ დიდი ხნის წინ და ამის შემდეგ ტექნოლოგიურ განვითარებას ფეხი ვერ აუწყეს, რის გამოც მათი ცოდნა თანამედროვე მოთხოვნებისა და პრაქტიკული სარგებლიანობისათვის მორალურად მოძველებულია. ისინი იძულებული არიან ან დათანხმდნენ დაბალი კვალიფიკაციის სამუშაოს, ან ხანგრძლივად ელოდონ მათი ცენზის შესაბამისი კვალიფიკაციის სამუშაოს.

ძალიან რთული სათქმელია, თუ რომელი კატეგორია რა ხვედრითი წონით განსაზღვრავს სტრუქტურული უმუშევრობის დონეს. ამ სიღრმის ანალიზის ჩატარება სადღეისოდ შეუძლებელია.

ასეთი შეფასებებისათვის, განათლების ლიკვიდურობის შესწავლის მიზნით აუცილებელია მასშტაბური გამოკვლევის ჩატარება. განათლების ლიკვიდურობის შესწავლა ერთერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, რომელიც ცენტრალური მნიშვნელობის არა მხოლოდ სტრუქტურული უმუშევრობის შესწავლის თვალსაზრისითაა, არამედ ის ერთერთ გადამწყვეტი ინფორმაციული საყრდენია განათლების სისტემის შემდგომი განვითარების სტრატეგიის შემუშავებისათვის. ქვემოთ ვნახავთ, თუ რამდენად შთამბეჭდავი მასშტაბისაა სტრუქტურული უმუშევრობის პრობლემის ის ნაწილი, რომლის შეფასებაც არსებული ინფორმაციული მასივებითაა შესაძლებელი.

4.2 ხანგრძლივი უმუშევრობა და დეკვალიფიკაცია, როგორც სტრუქტურული უმუშევრობის გამოვლინება

სტრუქტურული უმუშევრობის ასპექტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხანგრძლივი უმუშევრობის პროფესიული ნიშნით განხილვაა.

ხანგრძლივი უმუშევრების ძირითადი ნაწილი, მთელი საკვლევი პერიოდის მანძილზე, უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები და პროფესიის არმქონენი იყვნენ. საშუალო და დაბალი კვალიფიკაციის სპეციალისტების ხვედრითი წონა ხანგრძლივ უმუშევრებში შედარებით დაბალია. აქედან განსაკუთრებით აღსანიშნავი დაბალი კვალიფიკაციის სპეციალისტები არიან, რომელთა ხვედრითი წონა მთელი საკვლევი პერიოდის მანძილზე 4-5 პროცენტის მახლობლობაშია.

დიაგრამა N26



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

აღსანიშნავია, რომ სტრუქტურული უმუშევრობის თვალსაზრისით მხოლოდ ხანგრძლივი უმუშევრების პროფესიული ნიშნით განაწილება საკმარისი არაა. ცხადია, ეს განაწილება შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას, მაგრამ უფრო მეტად ინფორმატიული ამ სტრუქტურისა და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის იმავე ჭრილში მოცემული განაწილების შედარებაა.

სტრუქტურების შედარების მიხედვით, უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების ხვედრითი წონა ხანგრძლივ უმუშევრებს შორის 32 პროცენტით აღემატება მთლიანად ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების ხვედრით წონას. ეს განსხვავება 2009-2015 წლების მანძილზე შემცირების ტენდენციას ატარებს, მაგრამ 32 პროცენტით უფრო მაღალი ხვედრითი წონა ნიშნავს, რომ უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტს ხანგრძლივად უმუშევრობის საშუალოზე 1/3-ით უფრო მაღალი შანსი აქვს, ხოლო დაბალი კვალიფიკაციის პროფესიის შემთხვევაში ასეთი შანსი საშუალოზე 42 პროცენტით ნაკლებია. საშუალოზე ასევე 16 პროცენტით დაბალია ხანგრძლივი უმუშევრობის შანსი პროფესიის არქონის შემთხვევაში.

დიაგრამა N27



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ხანგრძლივი უმუშევრობის შედეგად გამოწვეული დეკვალიფიკაციისპრობლემაძალზედმნიშვნელოვანია.ამდასკვნისსაფუძველსგვაძლევსისგარემოება, რომ ხანგრძლივი უმუშევრობის თითქმის 60 პროცენტს უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები შეადგენენ, საიდანაც ძირითადი ნაწილი (43 პროცენტი) უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტია ხანგრძლივი უმუშევრობა კი მთლიანი უმუშევრობის თითქმის ნახევარია. ამდენად, მთლიანი უმუშევრობის თითქმის 30 პროცენტი დეკვალიფიცირებული უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებისაგან შედგება. დეკვალიფიკაციის ასეთი მასშტაბი თვალნათლივ ადასტურებს საქართველოში სტრუქტურული უმუშევრობის პრობლემის სიმწვავეს.

დიაგრამა N28



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

ხანგრძლივი უმუშევრობის დონის მაჩვენებელი 2009-2015 წლებში საკმაოდ კარგად ჩამოყალიბებული შემცირების ტენდენციით ხასიათდება (იხელეთ დიაგრამა N 28). აღსანიშნავია, რომ ხანგრძლივი უმუშევრობის დონე საშუალო და მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებს შორის, როგორც წესი, უფრო მაღალია, ვიდრე დაბალი კვალიფიკაციის ან სპეციალობის არმქონეთა შორის. ხანგრძლივი უმუშევრობის დონე 2015 წლის მონაცემებით 9 პროცენტი იყო, ანუ მთლიანი უმუშევრობის 12-პროცენტიან დონეზე არცთუ არსებითად დაბალი. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში ფრიქციული უმუშევრობის დონე მხოლოდ 3 პროცენტის დონეზეა, რაც ზოგადად ნორმალურად მიჩნეულის დიაპაზონშია.

საშუალო და უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების ერთ ჯგუფში გაერთიანება და ამ ჯგუფის მაჩვენებლების შედარება დაბალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებისა და პროფესიის არმქონეთა გაერთიანებულ ჯგუფთან განპირობებულია იმით, რომ ამ ორ ჯგუფში ჩამოყალიბებული ტენდენციები მეტნაკლებად ჰომოგენურია.

დიაგრამა N29



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

რაც შეეხება შედარებით დეტალურ განხილვას (იხილეთ დიაგრამა N29), ტენდენციები ისეთივეა, როგორც ორ ჯგუფად აგრეგირებული მაჩვენებლების შემთხვევაში, თუმცა აშკარად გამორჩეული უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების ჯგუფია, სადაც ხანგრძლივი უმუშევრობის დონე, როგორც წესი, ყველა სხვა ჯგუფთან შედარებით გამოკვეთილად მაღალია. მართალია 2009-2015 წლებში შემცირების მკაფიო ტენდენცია სწორედ ამ ჯგუფშია, მაგრამ 2015 წელსაც ხანგრძლივი უმუშევრობის დონე საკმაოდ მაღალ - 12 პროცენტიან ნიშნულზეა.

4.3 „დაუკმაყოფილებელი“ დასაქმებულები ანუ ფარული სტრუქტურული უმუშევრობა

სტრუქტურული უმუშევრობის კონტექსტში ხანგრძლივ უმუშევრობაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია „დაუკმაყოფილებელი“ დასაქმებულების პრობლემა. ეს ის ადამიანები არიან, რომლების ცენზით მიღებული კვალიფიკაციით სამუშაო ადგილი ვერ მიიღეს და დათანხმდნენ სხვა კვალიფიკაციის ან უფრო დაბალი კვალიფიკაციის სამუშაოს. მართალია, ფორმალურად ისინი დასაქმებულნი არიან, მაგრამ ფაქტობრივად მათ სამუშაო არ აკმაყოფილებთ. ამ მოვლენას შეიძლება ფარული სტრუქტურული უმუშევრობა ვუწოდოთ. აქ შეიძლება განვიხილოთ ორი შემთხვევა:

1. როდესაც სამუშაო ძალა დასაქმებულია, მაგრამ ეძებს სხვა სამუშაოს, რის მიზეზიც, როგორც წესი, პროფესიული შეუსაბამობაა;
2. როდესაც სამუშაო ძალა ვერ ახერხებს თავისი კვალიფიკაციის შესაბამისი სამუშაოს მოძებნას და იძულებულია უფრო დაბალი კვალიფიკაციის სამუშაოს დაყაბულდეს.

მეორე შემთხვევისთვის ავიღეთ თითოეული დასაქმებულის ძირითადი პროფესია დიპლომის მიხედვით და შევადარეთ მისი დასაქმების ფაქტიურ პროფესიას. გამოვრიცხეთ ის დასაქმებულები, რომლებიც ფაქტიური დასაქმებით მიეკუთვნებიან ISCO-ს 1-ლ ჯგუფს, ანუ ხელმძღვანელ თანამდებობებს, ანუ პროფესიებს, რომელიც დიპლომით სერტიფიცირებული არაა.

დიაგრამა N30



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

როგორც გაანგარიშებებმა გვიჩვენა, პროფესიული შეუსაბამობის გამო დამატებითი სამუშაოს მძებნელთა ხვედრითი წონა სტატისტიკური ცდომილების ფარგლებშია და ტენდენციაც შემცირებას აჩვენებს - 2015 წლის მონაცემებით ასეთი დასაქმებულები ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის სულ რაღაც 0.5 პროცენტს შეადგენდნენ.

რაც შეეხება დაბალი კვალიფიკაციით დასაქმებულებს, როგორიცაა დიპლომიანი ტაქსისტები, ჯიხურის გამყიდველები ან საკუთარ მიწაზე მომუშავე ინჟინრები, ასეთთა ხვედრითი წონა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 25 პროცენტია და ტენდენციაც ძალიან სუსტად გამოხატულ, მაგრამ გარკვეულ ზრდას აჩვენებს.

როგორც ზემოთ მოცემულმა ანალიზმა აჩვენა „დაუკმაყოფილებელი" დასაქმებულების პრობლემა, როგორც ფარული სტრუქტურული უმუშევრობის გამოვლინება, ყველაზე მეტად განათლების სისტემისა და შრომის ბაზრის დაბალი კონგრუენტულობის შედეგია. ზემოთ განხილული იყო ISCO-ს კლასიფიკაციით პროფესიულ ჯგუფებში დასაქმებულთა და უმუშევართა განაწილება, როგორც სერტიფიცირებული პროფესიის, ისე ფაქტიური დასაქმების პროფესიის მიხედვით. კვლევამ აჩვენა, რომ სტრუქტურები, ერთი მხრივ, სერტიფიცირებული პროფესიების მიხედვითა და, მეორე მხრივ, ფაქტიური დასაქმებისა, ერთმანეთთან პრაქტიკულად არ კორელირებენ. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ „დაუკმაყოფილებელი" დასაქმებულების პრობლემის ერთერთი მნიშვნელოვანი მდგენელი სწორედ ეს გარემოებაა.



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

ფარული სტრუქტურული უმუშევრობის ჩვენი მიდგომით გაანგარიშებული მაჩვენებლების შემთხვევაში ჯგუფებს შორის განსხვავება ძალიან არსებითი და, შეიძლება ითქვას, დრამატულიც კია.



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

საყურადღებოა, რომ ფარული სტრუქტურული უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალი, როგორც წესი, პროფესიული განათლების მქონე მოსახლეობაშია (იხილეთ დიაგრამა N32). ეს მაჩვენებელი ასევე მაღალია უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობაში, თუმცა იგი მაინც არსებითად ჩამორჩება უმუშევრობის დონეს პროფესიული განათლების მქონე მოსახლეობაში.

ეს საკმაოდ საყურადღებო ტენდენციაა და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პროფესიული განათლება კვალიფიკაციის შესაბამისი დასაქმების ძალიან დაბალ შანსს იძლევა.

სრულიად ბუნებრივია ის გარემოება, რომ ფარული სტრუქტურული უმუშევრობის დონე ფაქტობრივად ნულოვანია საშუალო და საშუალოზე დაბალი განათლების მქონე მოსახლეობაში: ეს სწორედ პროფესიის არმქონეთა ის ჯგუფია, რომელთა აბსორბციაც ძირითადად სასოფლო თვითდასაქმებაში ხდება.

ასევე საყურადღებოა უმუშევრობის აგრეგირებული დონე განათლების სხვადასხვა დონის ჯგუფებში. თუ განვიხილავთ უმუშევრობის აგრეგირებულ დონეს ფარული სტრუქტურული უმუშევრობის გარეშე, დავინახავთ, რომ ეს მაჩვენებელი ყველა ჯგუფში შემცირების ტენდენციით ხასიათდება. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ იგი თითქმის ყველა ჯგუფისათვის დაახლოებით ერთ, საკმაოდ ვიწრო დიაპაზონშია მოქცეული, რომელიც განსაკუთრებით 2014-2015 წლებში შევიწროვდა.

სრულიად განცალკევებულ შემთხვევას წარმოადგენს საშუალოზე დაბალი განათლების მქონე მოსახლეობის ჯგუფი, რომელშიც უმუშევრობის აგრეგირებული დონის მაჩვენებელი ყველაზე დაბალია. შემცირების ტენდენცია ამ ჯგუფშიც იკვეთება, თუმცა ეს ყველაზე დაბალი კვალიფიკაციით დასაქმების ხარჯზეა.

დიაგრამა N33



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

განსხვავება არსებითი ხდება, თუ განვიხილავთ უმუშევრობის აგრეგირებულ დონეს დაკვირვებადი სტრუქტურული უმუშევრობის ჩამთვლით. ასეთ შემთხვევაში, პროფესიული განათლების მქონე მოსახლეობაში უმუშევრობის მაჩვენებელი უკვე ძალიან მაღალ ნიშნულს აღწევს. მასზედ არსებითად დაბალი, მაგრამ ზოგადად მაინც მაღალია უმუშევრობის აგრეგირებული დონის მაჩვენებელი უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობაში.



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

საშუალო და საშუალოზე დაბალი განათლების მქონე მოსახლეობის უმუშევრობის აგრეგირებული დონის მაჩვენებელის საშუალოსთან შედარებით გაცილებით დაბალი დონე განპირობებულია ამ ჯგუფისათვის ნაკლებად დამახასიათებელი სტრუქტურული უმუშევრობით.

ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ დაკვირვებადი სტრუქტურული უმუშევრობის ჩათვლით უმუშევრობის აგრეგირებული დონის მაჩვენებელი 2009-2015 წლებში უცვლელობის ტენდენციით გამოირჩევა.

4.4 შრომის ბაზრის მოთხოვნისა და მიწოდების სტრუქტურული თავსებადობა

შრომის ბაზარზე მიწოდების შესწავლა შედარებით უფრო რთულია, ვინაიდან ამისათვის მიმდინარე აღრიცხვის საჭიროება უფრო დიდია, ვიდრე მოთხოვნის სტრუქტურის შესწავლისათვის. შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზის გამოყენება ამ თვალსაზრისითაცაა შესაძლებელი, თუმცა მხოლოდ ეს ინფორმაციული მასივი საკმარისი არ არის.

შრომის ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დასაქმებულების ფაქტიური კვალიფიკაციისა და სერტიფიცირებული პროფესიების მიხედვით განაწილების შედარება. ფაქტიური პროფესიების მიხედვით განაწილება წარმოდგენას გვიქმნის ბაზარზე სამუშაო ძალის მოთხოვნის სტრუქტურაზე. სერტიფიცირებული პროფესიის მიხედვით განაწილება კი აღწერს როგორც სამუშაო ადგილების მოთხოვნის, ისე შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდების სტრუქტურას.

სერტიფიცირებული პროფესიების მიხედვით განაწილება, ანუ სამუშაო ძალის მიწოდების კომპონენტი, განხილულია შრომის ბაზრის სექტორული ანალიზის ნაწილში. აქ კი განვიხილოთ, თუ რამდენად ადექვატურია მიწოდების სტრუქტურა მოთხოვნის სტრუქტურასთან მიმართებაში.

განხილვისთვის შედარდა განაწილება ISCO-ს ორნიშნა კოდების მიხედვით. როგორც შედარება აჩვენებს, დასაქმებულთა განაწილება სერტიფიცირებული და ფაქტიური პროფესიების მიხედვით პრაქტიკულად ერთმანეთთან არ კორელირებს: კორელაციის კოეფიციენტი -0.0792 შეადგენს.

დასაქმებულთა განაწილების სასოფლო თვითდასაქმებულების გარეშე განხილვისას, კორელაციის კოეფიციენტი არსებითად იზრდება, მაგრამ მისი აბსოლუტური მნიშვნელობა მაინც დაბალია და მხოლოდ 0.2085 ნიშნულზეა. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ორი სტრუქტურა ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებულია იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას განვიხილავთ სასოფლო თვითდასაქმების გარეშე.

სასოფლო თვითდასაქმების ჩათვლით დასაქმებულთა სერტიფიცირებული და ფაქტიური პროფესიების მიხედვით განაწილების კორელაცია დაახლოებით მსგავსია მთლიანად საკვლევი პერიოდის მანძილზე; სასოფლო თვითდასაქმების გარეშე განხილვის შემთხვევაში კი სტრუქტურების კორელაცია გარკვეული შემცირების ტენდენციით ხასიათდება. შემცირების ტემპი არ არის მაღალი,

მაგრამ თვით ტრენდი საკმაოდ ჩამოყალიბებული ხასიათისაა და განათლების სისტემის შრომის ბაზრის მიმართ კლებად კონგრუენტულობაზე მეტყველებს.

დიაგრამა N35



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

სერტიფიცირებული და ფაქტიური პროფესიების მიხედვით დასაქმებულთა განაწილებების შედარებისას კორელაციის მნიშვნელოვანი შემამცირებელი ფაქტორია პროფესიის არმქონეთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი. ეს ის პირებია, რომლებსაც არანაირი სერტიფიცირებული პროფესია არ გააჩნიათ, მაგრამ ფაქტობრივად რაღაც, თუნდაც ძალიან დაბალი კვალიფიკაციის სამუშაოზე, მაინც არიან დასაქმებულნი.

თუ სტრუქტურიდან გამოვრიცხავთ პროფესიის არმქონეთა ჯგუფს და ფაქტიური და სერტიფიცირებული პროფესიების მიხედვით განაწილებებს მათ გარეშე შევადარებთ, სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმების ჩათვლით სტრუქტურების კორელაცია მაინც ნულოვანია. ის გარემოება, რომ -0.0972-ის ნაცვლად კორელაციის კოეფიციენტი -0.0228-ს ტოლია, არანაირად არ ნიშნავს არსებით განსხვავებას და კორელაცია, როგორც წინა შემთხვევაში, ფაქტობრივად აქაც ნულოვანია.

თუ სტრუქტურიდან გამოვრიცხავთ სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებას, კორელაციის კოეფიციენტი თითქმის 14-ჯერ - 0,0288-დან 0.4061-მდე იზრდება. უკანასკნელი თავისთავად არ არის მაღალი მაჩვენებელი, მაგრამ აშკარაა ის გარემოება, რომ სასოფლო თვითდასაქმებისა და პროფესიის არმქონეთა გამოკლებით, დასაქმების სერტიფიცირებული და ფაქტიური პროფესიების სტრუქტურა ბევრად მეტ კორელაციაშია ერთმანეთთან.



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

დასაქმებულთა და უმუშევართა პროფესიული სტრუქტურების კორელაციური ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოში განათლების სისტემისა და შრომის ბაზრის შესაბამისობის ხარისხი ძალიან დაბალია: დასაქმებულთა ფაქტიური და სერტიფიცირებული პროფესიების მიხედვით განაწილება ერთმანეთთან თითქმის ნულოვანი კორელაციით ხასიათდება.

კორელაციის ხარისხი რამდენადმე იზრდება, თუ სტრუქტურიდან გამოვრიცხავთ ისეთ მსხვილ მდგენელს, როგორიცაა პროფესიის არმქონეთა ჯგუფი. მიუხედავად ამისა, სტრუქტურათა კორელაცია 0.5-ზე ნაკლებია ანუ დაბალია. ეს იმას ნიშნავს, რომ სერტიფიცირებული პროფესია ნაკლებად განაპირობებს დასაქმების ფაქტიურ ადგილს ანუ განათლების სისტემის მიერ სპეციალისტების გამოშვება არ აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნილებებს.

სერტიფიცირებული პროფესიების მიხედვით დასაქმებულთა და უმუშევართა კორელაცია თითქმის 1-ის ტოლია, რაც იმას ნიშნავს, რომ სერტიფიცირებული პროფესიის ზეგავლენა დასაქმებაზე ძალიან დაბალია. ეს ასევე ნიშნავს იმასაც, რომ განათლების სისტემიდან მიღებული განათლების დამადასტურებელი სერტიფიკატის წონა სამუშაო ადგილის მოძებნაში არ თამაშობს მნიშვნელოვან როლს.

გარდა ამისა, განათლების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიის არმქონეთა მთელი „არმიის“ გენერირებას, რომელთა კონკურენტუნარიანობა შრომის ბაზარზე ძალიან დაბალია და მათი უდიდესი უმრავლესობა სასოფლო თვითდასაქმებაში ან ძალიან დაბალი კვალიფიკაციის სამუშაოებზე თუ დასაქმდება.

ამდენად, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ერთერთი მთავარი პრობლემა პროფესიის არმქონეთათვის გარკვეული პროფესიული განათლების პროგრამის შემუშავება და ამოქმედებაა. ეს, ცხადია, არ ნიშნავს პრობლემის ავტომატურად მოგვარებას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არაა, მაგრამ საილუსტრაციოდ საინტერესოა დასაქმებულების ფაქტიური პროფესიის და უმუშევართა სერტიფიცირებული პროფესიების მიხედვით სტრუქტურების კორელაცია. აქაც, როგორც დასაქმებულთა ფაქტიური და სერტიფიცირებული პროფესიების მიხედვით განაწილების შემთხვევაში, კორელაცია ნულოვანია, ხოლო სასოფლო თვითდასაქმების გარეშე კორელაციის კოეფიციენტი რამდენადმე იზრდება, მაგრამ კორელაცია, შეიძლება ითქვას, მაინც ნულოვანია. თანაც, ამ თითქმის ნულოვან კორელაციასაც კი შემცირების ტენდენცია აქვს.

დიაგრამა N37



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

კორელაცია არსებითად იზრდება სტრუქტურიდან პროფესიის არმქონეთა გამორიცხვის შემთხვევაში, თუმცა ის საკმაოდ შორსაა ისეთი დონისაგან, რასაც მაღალი კორელაცია შეიძლება ეწოდოს.

დიაგრამა N38



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

განათლების სისტემისა და შრომის ბაზრის სტრუქტურული შესაბამისობის ხარისხი ერთობ დაბალია და ამას აჩვენებს ის გარემოება, რომ დასაქმებულთა ფაქტიური და სერტიფიცირებული პროფესიების მიხედვით სტრუქტურების ერთმანეთთან დამოკიდებულება თითქმის ნულოვანი კორელაციით ხასიათდება. კორელაციის ხარისხი რამდენადე იზრდება, თუ სტრუქტურიდან გამოვრიცხავთ ისეთ მსხვილ მდგენელს, როგორიცაა პროფესიის არმქონეთა ჯგუფი, მაგრამ მიუხედავად

ამისა, სტრუქტურათა კორელაცია 0.5-ზე ნაკლებია, ანუ ეს ორი სტრუქტურა ერთმანეთთან დაბალ კორელაციაშია. ეს ნიშნავს, რომ სერტიფიცირებული პროფესია ნაკლებად განაპირობებს დასაქმების ფაქტიურ ადგილს. ანუ განათლების სისტემის გამოშვება შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნას ნაკლებად ემთხვევა.

დიაგრამა N39



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

დასაქმებულთა შორის პროფესიის არმქონეთა მაღალი ხვედრითი წონის ახსნა შესაძლებელია ასაკობრივი ფაქტორით (იხილეთ დიაგრამა N39). პოტენციურ სამუშაო ძალაში შედის 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა, რომელიც მოიცავს მოსწავლეებს და სტუდენტებს ანუ განათლების ადრეულ საფეხურზე მყოფ მოსახლეობას, რომელსაც ჯერ არ მიუღია რომელიმე პროფესიის დამადასტურებელი სერტიფიკატი. პროფესიის არმქონეთა ხვედრითი წონა 25 წლამდე ასაკის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში 67 პროცენტია. ეს მაჩვენებელი საკვლევ პერიოდში ზრდის ნაკლებად პოზიტიურ ტენდენციას ავლენდა.

ასევე, ძალიან მაღალია სერტიფიცირებული პროფესიის არმქონეთა ხვედრითი წონა 25 წელზე უფროსი ასაკის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაშიც. 2015 წლის მონაცემებით იგი 42 პროცენტი იყო და საკვლევი პერიოდის მანძილზე პრაქტიკულად უცვლელი დარჩა, თუმცა გარკვეული ზრდის ალბათობით, ვინაიდან პროფესიის არმქონეთა ხვედრითი წონა 25 წლამდე ასაკის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში ბოლო პერიოდში ზრდის ტენდენციას ატარებს.

პროფესიის არმქონე 25 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის დიდი ნაწილი, მაღალი ალბათობით, სპეციალური შეთავაზების გარეშე დამოუკიდებლად პროფესიის შესაძენად სწავლას არ დაიწყებს, ანუ შრომის ბაზარი კვლავ გაჯერებული იქნება დაბალი კვალიფიკაციის მუშა ხელით, რაც შრომითი ურთიერთობების და საზოგადოდ შრომის ბაზრის დეგრადაციის წინაპირობა შეიძლება გახდეს.

შრომის ბაზარზე მიწოდების სტრუქტურის შესწავლისათვის ავირჩიეთ ორი წყარო - საიტი Jobs.ge, და გაზეთი „სიტყვა და საქმე“. რასაკვირველია, ეს წყაროები სრულყოფილად ვერ ფარავს შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიებს, მაგრამ გარკვეულ წარმოდგენას ქმნის სამუშაო ადგილების მიწოდების პროფესიულ სტრუქტურაზე. დროითი მწკრივის გენერირების მიზნით შევეცადეთ ორივე წყაროდან 2009-2015 წლის იდენტური პერიოდის მასალის მოპოვებას. თუმცა იმ სირთულეების გამო, რომლებზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ (პ.1.4 – „კვლევის მეთოდოლოგია“) ორივე წყაროდან კომბინირებული ისტორიული მონაცემების საფუძველზე რაოდენობრივი შეფასებების გაკეთება ვეღარ მოხერხდა. ამის გამო ქვემოთ განხილულია მხოლოდ სტრუქტურების ანალიზი და არა რაოდენობრივი შეფასებები.

ერთსა და იმავე პერიოდში აღნიშნული ორი წყაროს მეშვეობით განთავსებული ვაკანსიების სტრუქტურა პროფესიების მიხედვით არსებითად განსხვავებულია. Jobs.ge-ზე განთავსებულ ვაკანსიებში სჭარბობს მოთხოვნა ხელმძღვანელი რგოლის მუშაკებზე და სპეციალისტებზე კვალიფიკაციის უმაღლესი დონით, მაშინ როდესაც ამ ჯგუფის პროფესიების მოთხოვნა გაზეთ „სიტყვა და საქმის“

მეშვეობით უმნიშვნელოა. სამაგიეროდ, გაზეთი „სიტყვა და საქმის“ საშუალებით განთავსებულ ვაკანსიებში ძალიან მაღალია მომსახურების სფეროსა და სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკების წილი. ამავე ჯგუფის სპეციალისტებზე მოთხოვნა Jobs.ge ზეც საკმაოდ მაღალია, მაგრამ მათი წილი სტრუქტურაში არსებითად ჩამორჩება „სიტყვა და საქმე“-ში ამ ჯგუფის სპეციალისტებზე მოთხოვნის წილს. საყურადღებოა ისიც, რომ გაზეთში არსებითადაა წარმოდგენილი სამრეწველოს საწარმოების კვალიფიციური მუშებისა და არაკვალიფიციური მუშების ჯგუფებზე მოთხოვნაც. მაშინ, როდესაც Jobs.ge-ზე ასეთი პროფესიების მოთხოვნის წილი უმნიშვნელოა.

ამდენად შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი წყარო აბსოლუტურად განსხვავებულ სეგმენტებზე მუშაობს.

ცხრილი N2: გაზეთ "სიტყვა და საქმე"-ში და საიტ Jobs.ge-ზე 2016 წლის მაისის მეორე ნახევარში განთავსებული ვაკანსიების სტრუქტურა ISCO-ს ძირითად ჯგუფებში (პროცენტი)

	"სიტყვა და საქმე"	Jobs.ge	სულ
ყველა დონის ხელმძღვანელები	1	21	16
სპეციალისტები კვალიფიციის უმაღლესი დონით	2	25	20
სპეციალისტები კვალიფიკაციის საშუალო დონით	3	13	11
კანტორის მუშაკები	8	16	14
მომსახურების სფეროსა და სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკები	45	18	24
კვალიფიციური მუშაკები სოფლი მეურნეობების დარგში	1	0	0
სამრეწველო საწარმოების კვალიფიციური მუშები	16	3	6
დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები	2	1	2
არაკვალიფიციური მუშები	21	4	8
სულ	100	100	100

მართალია, აღნიშნული ორის წყარო განსხვავებულ სეგმენტებზე მუშაობს, მაგრამ ისინი ერთმანეთის ავსებენ, რასაც კორელაციური ანალიზის შედეგებიც ადასტურებენ.

სასოფლო თვითდასაქმების ჩათვლით მთლიანად დასაქმების სტრუქტურასა და ვაკანსიების სტრუქტურას შორის კორელაცია უარყოფითია, რაც იმით აიხსნება, რომ სასოფლო თვითდასაქმების მასშტაბი თავისთავად ძალზე დიდია და ამორფული. სოფლის მეურნეობაში დასაქმებაზე მოთხოვნა ვაკანსიებში საერთოდ არაა, დასაქმების სტრუქტურაში კი ამ სექტორს ყველაზე დიდი წილი აქვს.

მნიშვნელოვანია ის, რომ ცალკე „სიტყვა და საქმის“ და ცალკე Jobs.ge-ს საშუალებით გამოცხადებული ვაკანსიების სტრუქტურების დასაქმების ფაქტიურ სტრუქტურასთან კორელაციის კოეფიციენტი არსებითად დაბალია, ვიდრე ორივე წყაროს ბაზაზე გამოცხადებული ვაკანსიების გაერთიანებული სტრუქტურის კორელაცია დასაქმების ფაქტიურ სტრუქტურასთან. ეს კი ნიშნავს, რომ აღნიშნული ორი წყარო ერთმანეთს ავსებს.

დიაგრამა N40



საყურადღებოა აგრეთვე მოთხოვნის სტრუქტურის კორელაცია სასოფლო თვითდასაქმების გარეშე განხილულ დასაქმების სტრუქტურასთან.

დიაგრამა N41



პირველ რიგში აღსანიშნავია კორელაციის ვექტორის საპირისპირო ნიშნით ცვლილება - თუ სასოფლო თვითდასაქმების ჩათვლით მოთხოვნისა და ფაქტიური დასაქმების კორელაცია უარყოფითი იყო, სასოფლო თვითდასაქმების გარეშე კორელაცია დადებითია.

გაზეთ „სიტყვა და საქმის" ვაკანსიების სტრუქტურა შედარებით ნაკლებად კორელირებს სასოფლო თვითდასაქმების გარეშე დასაქმების ფაქტიურ სტრუქტურასთან - კორელაციის კოეფიციენტი 0.389 ნიშნულზეა, მაგრამ აქ საყურადღებო კორელაციის ვექტორია - კორელაცია დადებითია. Jobs.ge-ს სტრუქტურა შედარებით მაღალ კორელაციაშია - კორელაციის კოეფიციენტი აქ 0.562 ნიშნულზეა.

საყურადღებოა, რომ კორელაციის კოეფიციენტი გაზეთ „სიტყვა და საქმის“ და Jobs.ge-ს მონაცემების გაერთიანების შემდეგ არსებითად იზრდება და 0.661 ნიშნულამდე ადის.

ყოველივე ეს ადასტურებს სტრუქტურული უმუშევრობის პრობლემის მოგვარების და საერთოდ დასაქმების გამართული პოლიტიკის წარმოებისათვის ვაკანსიების ერთიანი ინფორმაციული მასივის შექმნის აუცილებლობას კუმულატიური მონაცემთა ბაზის ფორმირების გზით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დროითი მწკრივის გენერირება მოხერხდა მხოლოდ გაზეთ „სიტყვა და საქმის“ მონაცემებისათვის. რასაკვირველია, ეს მონაცემები არასრულია და, როგორც ზემოთაც ვნახეთ, მხოლოდ გარკვეულ სეგმენტზე მუშაობს. მიუხედავად ამისა, მაინც საინტერესოა ამ წყაროს მეშვეობით გამოცხადებული ვაკანსიების დინამიკა საკვლევ პერიოდში.

როგორც ქვემოთ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს (იხილეთ დიაგრამა N42), აშკარაა უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის მუშაკებზე მოთხოვნის წილის კლება და იმავდროულად, მომსახურების სფეროსა და სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკებზე მოთხოვნის ხვედრითი წილის არსებითი ზრდა. სხვათა შორის, ეს ტენდენცია ზუსტად ესადაგება დასაქმების სტრუქტურაში სასოფლო თვითდასაქმების ხვედრითი წონის შემცირებისა და მომსახურების სფეროში დასაქმების ხვედრითი წონის ზრდის ტენდენციას. ანუ გარკვეული სინქრონულობა აშკარად სახეზეა, მაგრამ რაოდენობრივად ეს ტრანსფორმაცია აშკარად არაა ისეთი მასშტაბების, რომ მან თვისობრივი ცვლილებების გამოწვევა შეძლოს. აღსანიშნავია ისიც, რომ ეკონომიკის რეალურ სექტორში დასაქმების შესაძლებლობები ანუ ვაკანსიები, არ შეცვლილა.

დიაგრამა N42



გაზეთ "სიტყვა და საქმეში" განთავსებულია არა მხოლოდ ვაკანსიების, არამედ სამუშაოს შეთავაზების განცხადებებიც. ამდენად, ეს წყარო იძლევა ერთდროულად მოთხოვნისა და მიწოდების კორელაციური ანალიზის შესაძლებლობას. როგორც 2009-2015 წლის ჯამური სტრუქტურებიდან ჩანს, მიწოდებას და მოთხოვნას არსებითად განსხვავებული სტრუქტურა გააჩნიათ.

უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტის პროფესიაზე შეთავაზების 30 პროცენტის საპასუხოდ მოთხოვნის ნაწილში ვაკანსიების მხოლოდ 8 პროცენტი მოდის (იხილეთ დიაგრამა N43).

ანალოგიური ასიმეტრია შეიმჩნევა სამრეწველო საწარმოების კვალიფიციური მუშაკების შემთხვევაშიც, როდესაც შეთავაზებების 35 პროცენტის საპასუხოდ ვაკანსიების მხოლოდ 12 პროცენტია.

სამაგიეროდ, მომსახურების სფეროსა და სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკების შეთავაზების 16 პროცენტის საპასუხოდ მოთხოვნის ნაწილში ვაკანსიების 37 პროცენტია.

საერთო ჯამში ეს ორი სტრუქტურა ერთმანეთთან ძალიან სუსტ კორელაციაშია და კორელაციის კოეფიციენტი მხოლოდ 0.2921 ნიშნულზეა.

ზემოთ მოცემული სტრუქტურული ანალიზი მხოლოდ პროცენტულ განაწილებებს ასახავს. ეს თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია მოთხოვნა-მიწოდების თვისობრივი ანალიზისთვის. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ერთი და იმავე ნომრების მიხედვით ფორმირებულ მონაცემთა ბაზაში უმუშევრების მიერ სამუშაოს შეთავაზება 1.8-ჯერ მეტია დამსაქმებლების მიერ სამუშაოს მოთხოვნაზე.

დიაგრამა N43



დამქირავებლებთან ჩაღრმავებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მათთვის Jobs.ge ყველაზე მნიშვნელოვანი პორტალია, სადაც სამუშაოს მაძიებელი და დამქირავებელი ხვდებიან ერთმანეთს. ჩაღრმავებული ინტერვიუების დროს გამოიკითხა ეკონომიკის 10 სხვადასხვა დარგის წამყვანი 10 კომპანია. არცერთ მათგანს სამუშაო ძალის ძებნის წყაროდ გაზეთი „სიტყვა და საქმე" არ დაუსახელებია. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმულ ვარაუდს, რომ ეს რესურსი სრულიად განსხვავებულ სეგმენტზე მუშაობს.

ჩაღრმავებული ინტერვიუების უკლებლივ ყველა რესპონდენტმა მუშახელის ძებნის საშუალებად რომელიმე ინტერნეტ-რესურსი მიუთითა, რაც იმას ნიშნავს, რომ საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტი, რომელიც ამჟამად ხორციელდება, ძალიან მნიშვნელოვანია დასაქმების კონტექსტშიც. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მსხვილი კომპანიებიც კი სარგებლობენ ნაცნობ-მეგობრების საშუალებით სასურველი კადრების მოძებნის პრაქტიკით. ნიშანდობლივია, რომ რაც უფრო დიდია კომპანია, მით უფრო მცირეა სამუშაო ძალის არაინსტიტუციური ძებნის ალბათობა.

კადრების დენადობის ძირითადი მიზეზებიდან დისციპლინარული ფაქტორი მნიშვნელოვან მიზეზად დაასახელა თითქმის ყველა რესპონდენტმა. აღსანიშნავია, რომ ამ მიზეზით კადრების დენადობა არ დაასახელა მხოლოდ ღვინის მწარმოებელმა რესპონდენტმა. უდავოდ საინტერესოა ისიც, რომ ყველა სხვა ინტერვიუში, გარდა ამ რესპონდენტისა, აშკარად იგრძნობოდა დაძაბულობა დაქირავებულსა და დამქირავებელს შორის.

რთულად და მარტივად მოძიებადი პროფესიების ჩამონათვალიდან მნიშვნელოვანი გარემოება იკვეთება. როგორც წესი, ძნელად მოძიებადია ტექნიკური განხრის და ფუნდამენტური საბუნებისმეტყველო დისციპლინების (ფიზიკა, მათემატიკა, ქიმია) სპეციალისტები, ხოლო მარტივად მოძიებადი - სოციალური და ჰუმანიტარული სპეციალობების მქონე კადრები.

4.5 საგანმანათლებლო სისტემის ეფექტიანობა სტრუქტურული უმუშევრობის კონტექსტში

დასაქმებისა და უმუშევრობის ანალიზის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია დასაქმების პროფესიისა და განათლებით მიღებული პროფესიის შესაბამისობა. შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა იძლევა ასეთი ანალიზის შესაძლებლობას. კერძოდ, გამოკვლევის ინსტრუმენტარიუმი ითვალისწინებს, როგორც რესპონდენტის ფაქტიური დასაქმების პროფესიის, ისე დიპლომით ან სხვა სახის სერტიფიკატით დადასტურებული ძირითადი პროფესიის კლასიფიცირებას.

დიაგრამა N44



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

გამოკვლევის მონაცემებით (იხილეთ დიაგრამა N44), ISCO-ს ორნიშნა კოდების დონეზე სერტიფიცირებული პროფესიის შესაბამისად დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის მხოლოდ 13.7 პროცენტია დასაქმებული, რაც უაღესად დაბალი მაჩვენებელია.

ისე როგორც ყველგან, აქაც საშუალო მაჩვენებლის მთავარი განმსაზღვრელი სასოფლო თვითდასაქმებაა, რომელიც მთლიანი დასაქმების თითქმის ნახევარია. ამ ფორმით დასაქმებულებს შორის სერტიფიცირებული პროფესიის შესაბამისად მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია დასაქმებული.

პროფესიის შესაბამისად დასაქმების დონე ყველაზე მაღალი დაქირავებით დასაქმებულებს შორისაა - 27.6 პროცენტი, რაც ზოგადად, ძალიან დაბალია. 2009-2013 წლებში ეს მაჩვენებელი შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. 2014 წელს ზრდის შემდეგ კი 2015 წელს ისევ შემცირდა. რაც შეხება არასასოფლო თვითდასაქმებულებში შესაბამის მაჩვენებელს, მათი წილი უმნიშვნელოდ, მხოლოდ 3.5 პროცენტული პუნქტით აღემატება საშუალო მაჩვენებელს (შესაბამისად, 17.2% და 13.7%).

პროფესიის შესაბამისად დასაქმებულთა ხვედრითი წონის მაჩვენებლის არცთუ სახარბიელო ტენდენცია ორ რამეზე შეიძლება მეტყველებდეს:

1. განათლების არსებული სისტემა ვერ იძლევა ისეთ ცოდნას, რომელიც შემდგომში პროფესიის შესაბამისად დასაქმებას უზრუნველყოფს;
2. საბჭოთა პერიოდში მიღებული განათლება ვერ აკმაყოფილებს შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს.

დასახელებული ორი გარემოებიდან უფრო არსებითი პირველია, ვინაიდან საბჭოთა პერიოდიდან დაშორების კვალობაზე საბჭოთა კავშირში მიღებული განათლების მქონეთა ხვედრითი წონა შრომის ბაზარზე მცირდება. ამდენად ამ ფაქტორის გამო კვალიფიკაციის შეუსაბამო დასაქმების ხვედრითი წონა განუხრელი შემცირების ტენდენციის მატარებელი უნდა იყოს. გამოკვლევის მონაცემები კი საწინააღმდეგო ტენდენციაზე მეტყველებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ გადამწყვეტია პირველი გარემოება.

დიაგრამა N45



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

დაქირავებით დასაქმებულთა 12 პროცენტი დიპლომის კვალიფიკაციაზე უფრო მაღალი კვალიფიკაციითაა დასაქმებული, ხოლო 35 პროცენტი - უფრო დაბალი კვალიფიკაციით. დაქირავებულთა 24 პროცენტს სერტიფიცირებული პროფესია საერთოდ არ აქვთ. საყურადღებოა, რომ ამ კატეგორიის დასაქმებულთა ხვედრითი წონა 2015 წელს წინა წელთან შედარებით რამდენადმე გაიზარდა.

დიაგრამა N46



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

დიპლომის მიხედვით კვალიფიკაციასთან ფაქტიური დასაქმების შესაბამისობის სტრუქტურა აჩვენებს, რომ მიღებული კვალიფიკაციის მიხედვით სამუშაოს პოვნა საქართველოში რთულია, რაც ორი ძირითადი გარემოებით შეიძლება იყოს განპირობებული:

• მიღებული განათლების ცენზი და რეალური ცოდნა არ არის ერთმანეთის შესაბამისი ანუ მიღებული დიპლომი არ ნიშნავს მიღებულ ცოდნას;

• საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეთავაზებული პროფესიების სტრუქტურა აცილებულია შრომის ბაზრის მოთხოვნის სტრუქტურას, ანუ საგანმანათლებლო დაწესებულებები ამზადებენ ცენზის მიხედვით განათლებულ, მაგრამ დასაქმების ნაკლები პერსპექტივის მქონე კადრებს.

ეს ორივე მიზეზი სავარაუდოდ ტოლფარდი ძალისაა და იმაზე მიუთითებს, რომ განათლების სისტემა ნაკლებადაა შრომის ბაზარზე ორიენტირებული. ამაზევე მეტყველებს ფაქტიური პროფესიისა და დიპლომში მითითებული პროფესიის შესაბამისობის მიხედვით დაქირავებით დასაქმებულთა განაწილების სტრუქტურა, რაც ბოლო რვა წლის მანძილზე (2009-2015 წწ.) არსებითად არ შეცვლილა.

არასასოფლო-სამეურნეო დარგებში თვითდასაქმებულების 35 პროცენტი თავის დიპლომის პროფესიაზე უფრო დაბალი კვალიფიკაციითაა დასაქმებული, ხოლო 33 პროცენტს პროფესია საერთოდ არ აქვს. საკვლევ პერიოდში აღინიშნა პროფესიის არმქონეთა ხვედრითი წონის მატება, რაც უდავოდ ნეგატიურ ტენდენციას წარმოადგენს. დიპლომის მიხედვით პროფესიაზე უფრო მაღალი კვალიფიკაციით არასასოფლო თვითდასაქმებულთა 13 პროცენტია დასაქმებული (იხილეთ დიაგრამა N47).

დიპლომის მიხედვით პროფესიის დასაქმების ფაქტიურ პროფესიასთან შესაბამისობის კუთხით ყველაზე მძიმე მდგომარეობა, როგორც მოსალოდნელი იყო, სასოფლო თვითდასაქმების სფეროშია. სასოფლო თვითდასაქმებულების 66 პროცენტს პროფესია არ აქვს, ხოლო 29 პროცენტი უფრო დაბალი კვალიფიკაციითაა დასაქმებული (იხილეთ დიაგრამა N48). ეს ის კონტინგენტია, რომელმაც მიიღო გარკვეული განათლება, მაგრამ თავისი სპეციალობით სამუშაო ადგილი ვერ ნახა და იძულებული გახდა საკუთარ მეურნეობაში დასაქმებულიყო.

კვალიფიკაციის შესაბამისი დასაქმების ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობაში პრაქტიკულად ნულოვანია, ანუ სერტიფიცირებული აგრონომების, ვეტერინარების, მექანიზატორების, მელიორატორების და სხვა სერტიფიცირებული აგრარული სპეციალობის მქონე სასოფლო თვითდასაქმებულთა ხვედრითი წონა ნულთან ახლოსაა. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სერტიფიცირებული აგრარული სპეციალობის მქონე პირები თითქმის არ მიმართავენ სასოფლო თვითდასაქმებას, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მათ აქვთ სპეციალობით დასაქმების რეალური შესაძლებლობა.

დიაგრამა N47



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

2009-2015 წლებში გამოკვეთილი ტენდენციებიდან აღსანიშნავია პროფესიის არმქონე სასოფლო თვითდასაქმებულების ხვედრითი წონის უმნიშვნელო ზრდა. რაც შეეხება უფრო მაღალი სერტიფიცირებული კვალიფიკაციის მქონეთა ხვედრითი წონის მაჩვენებელს, ის სტაბილურად 30 პროცენტის მახლობლობაშია.

სასოფლო თვითდასაქმებულებში უფრო მაღალი კვალიფიკაციით დასაქმებულების წილი მხოლოდ 4-5 პროცენტია. ეს ერთი შეხედვით უცნაურია, მაგრამ არის ისეთი პროფესიები, რომლებიც უფრო დაბალ კვალიფიკაციად ითვლება, ვიდრე სოფლის მეურნეობაში საქმიანობა (მაგალითად,მე-9 ჯგუფი - „არაკვალიფიციური მუშები“, მე-8 ჯგუფი - „მეაპარატეები და ოპერატორები“).

დიაგრამა N48



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

საერთო ჯამში, NACE-ს გამსხვილებულ ჯგუფებში ISCO-ს ორნიშნა კოდების დონეზე პროფესიის შესაბამისად დასაქმებულთა ხვედრითი წონა ყველაზე მაღალი განათლებისა და ჯანდაცვის სექტორებშია, რაც სრულიად გასაგებია, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ დარგებშიც კვალიფიკაციის შესაბამისი დასაქმების მაჩვენებელი შემცირების ტენდენციით გამოირჩევა.

იგივე მაჩვენებელი შედარებით მაღალია აგრეთვე ზემოთ აღნიშნულ ყველაზე მრავალფეროვან ჯგუფში, სადაც შედის ტრანსპორტი, სასტუმროები, რესტორნები, საფინანსო შუამავლობა და სახელმწიფო მართვის ორგანოები. აღსანიშნავია, რომ ამ მაჩვენებელს აქაც შემცირების ტენდენცია ახასიათებს.

მრეწველობასა და მშენებლობაში კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებულთა ხვედრითი წონის მაჩვენებელი საქართველოს საშუალო მაჩვენებელის მახლობლობაშია, თუმცა ისიც შემცირების ტენდენციით ხასიათდება.

ერთადერთი დარგი, სადაც კვალიფიკაციის შესაბამისი დასაქმების მაჩვენებელი ზრდის ტენდენციას ავლენს, ვაჭრობა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებელი თავისთავად ძალიან დაბალ ნიშნულზეა, საკმაოდ სუსტი ზრდის ტენდენციით.

სოფლის მეურნეობაში კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმების მაჩვენებელი იმდენად დაბალია, რომ მისი განხილვაც არ ღირს.

საერთო ჯამში, კვალიფიკაციის შესაბამისი დასაქმების მაჩვენებელის წამყვან დარგებში გამოკვეთილი შემცირების ტენდენცია კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ეს პრობლემა საბჭოთა მემკვიდრეობაზე მეტად განათლების არსებული სისტემის გაუმართაობითაა გამოწვეული, ვინაიდან საბჭოთა მემკვიდრეობა, მილევადი და წარმავალია, ხოლო შემცირების ტენდენცია მომავალი პრობლემების ნიშანია.



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

პროფესიის შესაბამისად დასაქმების მაჩვენებელი შედარებით მაღალია, თუ ფაქტიური დასაქმების და სერტიფიცირებული პროფესიის თანხვედრას ISCO-ს მხოლოდ ერთნიშნა კოდების დონეზე, ანუ ყველაზე მსხვილ ჯგუფებში განვიხილავთ.

ამ შემთხვევაში დაქირავებით კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმების ხვედრითი წონის მაჩვენებელი 27.6 პროცენტიდან 36.5 პროცენტამდე იზრდება. ეს მაჩვენებელი იმ თვალსაზრისითაა საინტერესო, რომ უფრო ნათლად აჩვენოს, თუ რამდენად დაბალია სერტიფიცირებული კვალიფიკაციის შესაბამისი დასაქმების დონე, ვინაიდან ISCO-ს ერთ ნიშნა კოდების დონე ძალზედ მსხვილ და არაერთგვაროვანი პროფესიების გაერთიანებას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ასეთ დონეზეც კი სერტიფიცირებული კვალიფიკაციისა და ფაქტიური პროფესიის თანხვედრა, დაქირავებით დასაქმებისთვისაც კი მხოლოდ 36.5 პროცენტია.

ყველა სხვა დანარჩენი მაჩვენებლებიც, სასოფლო თვითდასაქმების ჩათვლით და მის გარეშეც, ისეთივე პროპორციით იცვლება, როგორც ISCO-ს ორნიშნა კოდების დონეზე თანხვედრის შემთხვევაში.

განათლების სისტემის შრომის ბაზართან თავსებადობის პრობლემა, რაც შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზის ანალიზისას გამოიკვეთა, ჩაღრმავებულმა ინტერვიუებმაც დაადასტურა. თითქმის ყველა რესპონდენტმა კადრების მოძიების ერთერთ მთავარ სირთულედ სწორედ საგანმანათლებლო ცენზთან შედარებით სამუშაოს მაძიებლის ფაქტობრივი ცოდნის დაბალი დონე დაასახელა. ამ ფონზე სრულიად ბუნებრივია ის გარემოება, რომ გამოკითხული კომპანიების უმრავლესობა მიმართავს კონკურენტი კომპანიების კვალიფიცირებული პერსონალის გადმობირების პრაქტიკას (Headhunting).

იმავე ჩაღრმავებული ინტერვიუებიდან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება გამოიკვეთა: მეწარმეები კმაყოფილი არ არიან განათლების სისტემის პროდუქტით ანუ მის მიერ მომზადებული სამუშაო ძალის კვალიფიკაციით. მიუხედავად ამისა, არც ერთ რესპონდენტს არ უფიქრია რაიმე ნაბიჯის გადადგმა არსებული ვითარების გასაუმჯობესებლად, თუნდაც უმაღლეს სასწავლებელთან უშუალო კონტაქტის გზით.

ამდენად, განათლების სისტემისა და ეკონომიკის შეუთავსებლობის პრობლემა სახელმწიფოს მოსაგვარებელია და ბაზარი მას, როგორც მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, თავისთავად ვერ გადაწყვეტს.

5. შრომის ბაზრის ინსტიტუციური სისუსტეები

დასაქმებისა და უმუშევრობის სიღრმისეული ანალიზის მნიშვნელოვანი ასპექტია სამუშაოს ძებნის გზები. შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის ინსტრუმენტარიუმი საგულისხმო ინფორმაციას შეიცავს სამუშაოს ძებნის გზების შესახებ.

გამოკვლევის მონაცემებით, დაუსაქმებელთა დაახლოებით 1/5 (18.8%) აქტიურად ეძებდა სამუშაოს, ხოლო 4/5-ზე მეტი (81.2%) სამუშაოს არ ეძებდა. სამუშაოს მაძიებელი დაუსაქმებელი მოქალაქეები, ძირითადად დაქირავებით დასაქმებას ეძებდნენ. საკუთარი ბიზნესის წამოწყების გზით დასაქმების პრობლემის გადაჭრა მინიმალურია.

ცხრილი N 3: დაუსაქმებელთა განაწილება სამუშაოს ძებნის ხერხების მიხედვით (პროცენტი)

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
დიახ, ვეძებდი ხელფასიან სამუშაოს:	20.5	21.1	20.6	21.6	20.7	18.4	18.8
ვეცნობოდი განცხადებებს პრესის, ტელევიზიის, ინტერნეტის და სხვა საშუალებით	2.7	2.4	2.5	3.0	3.4	3.0	3.0
მოვიპოვებდი ინფორმაციას ნაცნობების საშუალებით	16.9	17.8	17.4	18.1	17.0	15.0	15.3
უშუალოდ ვუკავშირდებოდი ადმინისტრაციას	0.7	0.6	0.5	0.4	0.3	0.3	0.4
ვაქვეყნებდი განცხადებებს პრესის, ტელევიზიის ინტერნეტის და სხვა საშუალებით	0.0	0.0	0.1	0.0	0.1	0.1	0.1
მივმართე დასაქმების სამსახურს	0.1	0.1	0.1	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა	0.1	0.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
დიახ, ვცდილობდი საკუთარი საქმის წამოწყებას:	0.1	0.2	0.1	0.2	0.2	0.2	0.0
საკუთარი საქმის წამოწყებისათვის მივმართე შესაბამის ორგანოებს ნებართვის მისაღებად;	0.0	0.1	0.0	0.1	0.1	0.1	0.0
დავამყარე კავშირები პოტენციურ პარტნიორებთან;	0.0	0.1	0.1	0.0	0.0	0.0	0.0
ვცადე მიმეღო საქმის დასაწყებად სესხი, კრედიტი;	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვეძებდი შენობას, ნედლეულს, მოწყობილობებს, მიწის ნაკვეთს;	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა	0.0	0.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
არა, არ მიცდია	79.4	78.6	79.3	78.2	79.1	81.4	81.2
სულ	100	100	100	100	100	100	100

წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

ძალზე მნიშვნელოვანია სამუშაოს ძებნის გზების დაჯგუფება შრომის ბაზრის ინსტიტუციონალიზაციის ხარისხის მიხედვით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რამდენად მუშაობს სისტემა, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეები სამსახურს ეძებენ. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ზემოთ მოტანილი ცხრილის ქვემდებარეში ჩამოთვლილი საშუალებები გადავაჯგუფეთ იმის მიხედვით, რამდენად შეიცავდნენ ისინი კადრების მოძებნის ან/და საკუთარი საქმის დაწყების ფორმალიზებულ მიდგომას. შესაბამისად გამოვყავით სამუშაოს ძებნის ორი პირობითი ჯგუფი:

1. სამუშაოს ინსტიტუციონალიზებული ძებნა, სადაც შევიდნენ რესპონდენტები, რომლებმაც სამუშაოს ძებნის შესახებ გასცეს შემდეგი პასუხები:
   - ვეცნობოდი განცხადებებს პრესის, ტელევიზიის, ინტერნეტის და სხვა საშუალებით;
   - უშუალოდ ვუკავშირდებოდი ადმინისტრაციას;
   - ვაქვეყნებდი განცხადებებს პრესის, ტელევიზიის, ინტერნეტის და სხვა საშუალებით;
   - მივმართე დასაქმების სამსახურს;

- საკუთარი საქმის წამოწყებისათვის მივმართე შესაბამის ორგანოებს ნებართვის მისაღებად;
- დავამყარე კავშირები პოტენციურ პარტნიორებთან;
- ვცადე მიმეღო საქმის დასაწყებად სესხი.

2. სამუშაოს არაინსტიტუციონალიზებული ძებნა, სადაც შევიდნენ რესპონდენტები, რომლებმაც სამუშაოს ძებნის შესახებ გასცეს შემდეგი პასუხები:
   - მოვიპოვებდი ინფორმაციას ნაცნობების საშუალებით;
   - ვეძებდი შენობას, ნედლეულს, მოწყობილობებს, მიწის ნაკვეთს;
   - სხვა.

აგრეგირებული შეფასებების განაწილება აჩვენებს, რომ საქართველოში შრომის ბაზარი მხოლოდ 20 პროცენტითაა ინსტიტუციონალიზებული (იხილეთ დიაგრამა N50). ამდენად, სამუშაოს ძებნის ძირითადი წყარო კვლავ სოციალური კაპიტალია.

სამუშაოს ძებნის გზების უპირატესად არაინსტიტუციური ხასიათი, რომელიც წლების განმავლობაში არ იცვლება, შრომის ბაზრის არასრულყოფილებაზე მიუთითებს. შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების ინსტიტუციონალიზება უმუშევრობის პრობლემის სისტემური მოგვარების ერთერთი პირველი ღონისძიებაა. ეს საკმაოდ რთული სისტემაა, რომელიც საკანონმდებლო ჩარჩოში მოთავსებამდე საქართველოში არსებული სპეციფიკის საფუძვლიან გააზრებასა და გათვალისწინებას მოითხოვს.

დიაგრამა N50



წყარო: საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

მნიშვნელოვანია სამუშაო ადგილების განაწილება მათი გენერაციის წყაროების მიხედვით. შინამეურეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზიდან გამოვყავით სამუშაო ადგილების ოთხი ტიპი მათი გენერაციის წყაროების მიხედვით:

1. სახელმწიფოს მიერ შექმნილი სამუშაო ადგილები - სადაც შევიდნენ სახელმწიფო დაწესებულებებში და სახელმწიფო სექტორის ორგანიზაციებში დასაქმებულები;
2. კერძო სექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ადგილები, სადაც შევიდნენ კერძო საკუთრების საწარმოებსა და ორგანიზაციებში დაქირავებით დასაქმებულები და თვით მეწარმეები დაქირავებული მუშაკებით;
3. საკუთარი უნარებით შექმნილი სამუშაო ადგილები, სადაც შევიდნენ ის არასასოფლო თვითდასაქმებულები, რომელთა დასაქმებაც მათი უნარების გამოყენებით მოხდა. ასეთ დასაქმებულებს მიეკუთვნენ ინდივიდუალური მეწარმეები, რომლებიც თავის პროფესიული ცოდნით არიან თვითდასაქმებულები;
4. სტიქიურად შექმნილი სამუშაო ადგილები, სადაც შევიდნენ თვითდასაქმებულები

სოფლის მეურნეობასა და წვრილ ვაჭრობაში, ტაქსისტები და სხვ. მოკლედ რომ ვთქვათ, თვითდასაქმებულები დაბალი კაპიტალტევადობისა და მუშაკთა მაღალ კვალიფიკაციაზე პრეტენზიის არმქონე დარგებში.

2015 წლის მდგომარეობით სამუშაო ადგილების 53 პროცენტი სწორედ სტიქიურად იყო შექმნილი, 27 პროცენტი - კერძო სექტორის მიერ იყო შექმნილი, 15 პროცენტი - სახელმწიფოსაგან, ხოლო 4 პროცენტი - საკუთარ უნარებზე დაყრდნობით.

დამქირავებელისა და დაქირავებულის შეხვედრის სტიქიური ხასიათის პრობლემურობა ჩაღრმავებული ინტერვიუების დროსაც გამოიკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ უკლებლივ ყველა რესპონდენტი კადრების მოძიებისათვის რომელიმე ინტერნეტ რესურსს იყენებს (Jobs.ge, LinkedIn-ი, Facebook და ა.შ.), ეს რესურსები, ერთიანი სისტემის არარსებობის გამო ერთმანეთთან კავშირში არ არიან. დამქირავებლისა და სამუშაოს მაძიებელის შეხვედრის მოედნის ინსტიტუციონალიზაცია, შესაბამისი თამაშის წესების განსაზღვრა და ერთ სისტემაში მოქცევა უფრო მაღალი თანრიგის ამოცანაა, ვიდრე ინტერნეტის მეშვეობით ვაკანსიების გავრცელება. ჩაღრმავებული ინტერვიუებიდან გამოკვეთილი საერთო ფონი აჩვენებს, რომ დაქირავებულს - მხოლოდ მოვალეობები, ხოლო დამქირავებულს - მხოლოდ უფლებები აქვს. სახელმწიფოს მიერ ამ პროცესების ინსტიტუციურ, მათ შორის საკანონმდებლო, ჩარჩოში მოქცევა ერთობ მნიშვნელოვანი და აქტუალური ამოცანაა.

6. ძირითადი მიგნებები

6.1 ემპირიული მიგნებები

1. უმუშევრობის აგრეგირებული დონის მაჩვენებელი საქართველოში (არასრული დასაქმებისა და ფარული უმუშევრობის ჩათვლით) 2015 წელს 25 პროცენტს შეადგენდა. ეს მაჩვენებელი 2009-2015 წლებში შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა, რომელიც განსაკუთრებით 2014-2015 წლებში გაძლიერდა;
2. უმუშევრობის აგრეგირებული დონის 43 პროცენტი შსო-ს კრიტერიუმით უმუშევრებისაგან შედგება, დაახლოებით მესამედი - 32 პროცენტი - არასრული დასაქმების წილად მოდის, ხოლო მეოთხედი - 25 პროცენტი - ფარული უმუშევრობის წილად;
3. ქალაქისა და სოფლის უმუშევრობის აგრეგირებულ მაჩვენებლებს შორის განსხვავება ისეთი არსებითი არ არის, როგორც შსო-ს კრიტერიუმებით განსაზღვრული უმუშევრობის დონის შემთხვევაშია;
4. შსო-ს კრიტერიუმებით იდენტიფიცირებულ უმუშევართა შორის 2015 წელს 38 პროცენტი უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი იყო, 17 პროცენტი - საშუალო დონის სპეციალისტი, ხოლო 4 პროცენტი - საშუალოზე დაბალი კვალიფიკაციის სპეციალისტი;
5. სერტიფიცირებული პროფესიების გამსხვილებულ ჯგუფებში უმუშევართა განაწილება იმავე ჯგუფებში დასაქმებულთა განაწილების სტრუქტურის მსგავსია: კორელაციის კოეფიციენტი თითქმის 1-ის ტოლია, რაც იმას ნიშნავს, რომ დიპლომის მიხედვით პროფესიას დასაქმებაზე გადამწყვეტი ზეგავლენა არ აქვს;
6. დასაქმებულთა და უმუშევართა კვალიფიკაციური სტრუქტურა ISCO-ს ორნიშნა კოდების მიხედვითაც იდენტურია: კორელაციის კოეფიციენტი აქაც თითქმის 1-ის ტოლია. აღსანიშნავია, რომ 2009-2015 წლებში კორელაციის კოეფიციენტი ზრდის ტენდენციას ავლენდა, ანუ დასაქმებულთა და უმუშევართა სტრუქტურა უფრო და უფრო მსგავსი ხდება;
7. შსო-ს კრიტერიუმით, უმუშევრობის დონე უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებს შორის 2015 წელს 20.8 პროცენტით აღემატებოდა უმუშევრობის საშუალო დონეს. განსხვავების ვექტორი ანალოგიური იყო 2009-2015 წლებშიც. უმუშევრობის დონე საშუალოზე თითქმის ორჯერ დაბალია დაბალი კვალიფიკაციის სპეციალისტებს შორის, ასევე დაბალია იგი პროფესიის არმქონეთა შორის;
8. 2015 წელს შსო-ს კრიტერიუმებით იდენტიფიცირებულ უმუშევრების 48 პროცენტი ხანმოკლე უმუშევრები იყვნენ, ხოლო 52 პროცენტი - ხანგრძლივი უმუშევრები. 2009-2015 წლებში ხანგრძლივობის ნიშნით უმუშევრობის განაწილება არსებითად არ შეცვლილა;
9. 2015 წელს მთლიანი დასაქმების თითქმის ნახევარი - 48.4 პროცენტი - სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმების წილად მოდის. ეს მაჩვენებელი 2009-2015 წლებში შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა, რის შედეგადაც პირველად ბოლო 25 წლის მანძილზე იგი 50 პროცენტს ჩამოსცდა;
10. დასაქმების სტრუქტურაში შემდეგი წონადი კომპონენტია ვაჭრობა და საყოფაცხოვრებო მომსახურება, რომლის ხვედრითი წონა მთელი საკვლევი პერიოდის განმავლობაში 10 პროცენტის მახლობლობაში იყო;
11. შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემებით, ეკონომიკის რეალურ სექტორში (აგრარული სექტორის გარეშე) დასაქმების ხვედრითი წონა მთლიანი დასაქმების 10.6 პროცენტია. ეს მაჩვენებელი 2009-2015 წლებში უცვლელია. მომსახურების სექტორში დასაქმების ხვედრითი წონა 2015 წელს 41.0 პროცენტი იყო. 2009-2015 წლებში იგი ზრდის ტენდენციით გამოირჩეოდა;
12. 2015 წლის მდგომარეობით, სამუშაო ადგილების 53 პროცენტი სტიქიურად იყო შექმნილი, 27 პროცენტი - კერძო სექტორის მიერ იყო გენერირებული, 15 პროცენტი - სახელმწიფოს მიერ, ხოლო 4 პროცენტი - საკუთარ უნარებზე დაყრდნობით;
13. 2009-2015 წლებში საკმაოდ მკაფიოდაა ჩამოყალიბებული სტიქიურად შექმნილი სამუშაო ადგილების ხვედრითი წონის შემცირება და კერძო სექტორის მიერ გენერირებული სამუშაო ადგილების ხვედრითი წონის ზრდა. ამავე დროს, შეინიშნება სახელმწიფოს მიერ შექმნილი სამუშაო ადგილების ხვედრითი წონის სუსტად გამოხატული კლება და საკუთარ უნარებზე დაყრდნობით შექმნილი სამუშაო ადგილების ხვედრითი წონის სტაბილურობა;
14. უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების ხვედრითი წონა ხანგრძლივ უმუშევრებში 32

პროცენტით აღემატება მათსავე წონას ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში ანუ უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტს ხანგრძლივად უმუშევრის „სტატუსის“ მოპოვების საშუალოზე 32 პროცენტით უფრო მაღალი შანსი აქვს. დაბალი კვალიფიკაციის პროფესიის შემთხვევაში, ამის შანსი საშუალოზე 42 პროცენტით ნაკლებია. საშუალოზე 16 პროცენტით ნაკლებია ხანგრძლივი უმუშევრობის შანსი პროფესიის არქონის შემთხვევაში;

15. სტრუქტურული უმუშევრობის კონტექსტში ხანგრძლივ უმუშევრობაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია „დაუკმაყოფილებელი“ დასაქმებულების პრობლემა. ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც ცენზით მიღებული კვალიფიკაციით სამუშაო ადგილი ვერ მიიღეს და დათანხმდნენ სხვა ან უფრო დაბალი კვალიფიკაციის სამუშაოს. ფორმალურად ისინი დასაქმებულნი არიან, მაგრამ ფაქტობრივად მათ სამუშაო არ აკმაყოფილებთ. ამგვარი სტრუქტურული უმუშევრობის დონე 2015 წელს 25.8 პროცენტი იყო. 2009-1015 წლებში ეს მაჩვენებელი შემცირების სუსტ ტენდენციას ავლენდა;

16. ფარული სტრუქტურული უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალი, როგორც წესი, პროფესიული განათლების მქონე მოსახლეობაშია - 58.2 პროცენტი. ასევე მაღალია ეს მაჩვენებელი უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობაში - 48.2 პროცენტი, მაგრამ იგი არსებითად ჩამორჩება საშუალო-სპეციალური განათლების მქონე მოსახლეობაში უმუშევრობის დონეს. ეს იმას ნიშნავს, რომ საშუალო სპეციალური განათლება კვალიფიკაციის შესაბამისი დასაქმების ძალიან დაბალ შანსს იძლევა;

17. უმუშევრობის აგრეგირებულ დონე ფარული სტრუქტურული უმუშევრობის ჩათვლით პროფესიული განათლების მქონე მოსახლეობაში ძალიან მაღალ ნიშნულზეა - თითქმის 75 პროცენტი. მასზე არსებითად დაბალი, მაგრამ ზოგადად მაინც ძალზე მაღალია უმუშევრობის აგრეგირებული დონის მაჩვენებელი უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობაში - თითქმის 63 პროცენტი;

18. ფარული სტრუქტურული უმუშევრობის ჩათვლით უმუშევრობის აგრეგირებული დონის მაჩვენებელი 2009-2015 წლებში უცვლელობის ტენდენციით გამოირჩევა;

19. ISCO-ს ორნიშნა კოდების მიხედვით დასაქმებულთა განაწილებების შედარება აჩვენებს, რომ სერტიფიცირებული და ფაქტიური პროფესიების მიხედვით დასაქმებულების განაწილება პრაქტიკულად ერთმანეთთან არ კორელირებს: კორელაციის კოეფიციენტი -0.0792-ია. ეს ნიშნავს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცემული სერტიფიკატების პროფესიული სტრუქტურა პრაქტიკულად არ არის თანხვედრაში შრომის ბაზრის მოთხოვნის სტრუქტურასთან;

20. თუ სერტიფიცირებული და ფაქტიური პროფესიების მიხედვით დასაქმებულთა განაწილებას განვიხილავთ სასოფლო თვითდასაქმებულების გარეშე, კორელაციის კოეფიციენტი არსებითად იზრდება, მაგრამ მისი აბსოლუტური მნიშვნელობა მაინც ძალიან დაბალ ნიშნულზე (0.2085) რჩება;

21. ISCO-ს ორნიშნა კოდების დონეზე სერტიფიცირებული პროფესიის შესაბამისად დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის მხოლოდ 13.7 პროცენტია დასაქმებული, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია;

22. პროფესიის შესაბამისად დასაქმებულთა ხვედრითი წონა შედარებით მაღალია არასასოფლო თვითდასაქმების შემთხვევაში, სადაც ეს მაჩვენებელი 17.2 პროცენტის დონეზეა ანუ უფრო მაღალია, ვიდრე საშუალო მაჩვენებელი, თუმცა თავისთავად მაინც ერთობ დაბალია;

23. პროფესიის შესაბამისად დასაქმების დონე ყველაზე მაღალი დაქირავებით დასაქმებულებს შორისაა - 27.6 პროცენტი, რაც ასევე ძალიან დაბალია. 2009-2013 წლებში ეს მაჩვენებელი შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. 2014 წელს ზრდის შემდეგ, 2015 წელს იგი ისევ შემცირდა. ამის მიზეზად საბჭოთა მემკვიდრეობის დასახელება თანდათან აზრს მოკლებული ხდება;

24. დაუსაქმებელთა დაახლოებით 19 პროცენტი აქტიურად ეძებდა სამუშაოს, ხოლო დაახლოებით 81 პროცენტი სამუშაოს არ ეძებდა. სამუშაოს მაძიებელი დაუსაქმებელი მოქალაქეები, ძირითადად დაქირავებით დასაქმებას ეძებდნენ. საკუთარი ბიზნესის წამოწყების გზით დასაქმების გავრცელება მინიმალურია;

25. აგრეგირებული შეფასებების განაწილება აჩვენებს, რომ საქართველოში შრომის ბაზარი მხოლოდ 20 პროცენტითაა ინსტიტუციონალიზებული. ამდენად, სამუშაოს ძებნის ძირითად წყაროს კვლავ სოციალური კაპიტალი (ნაცნობები, მეგობრები, ნათესავები) წარმოადგენს.

6.2 თვისობრივი მიგნებები

ზემოთ მოტანილი ემპირიული ანალიზიდან გამოიკვეთა თვისობრივი ხასიათის შემდეგი ძირითადი მიგნებები:

26. საქართველოს შრომის ბაზარზე გენერირებული სამუშაო ადგილების უმეტესობა არ მოითხოვს მაღალ კვალიფიკაციას. ქვეყნის ეკონომიკა უპირატესად დაბალი კვალიფიკაციის სამუშაო ადგილებს ქმნის, რომელთა დაკავება სპეციალურ განათლებას ძირითადად არ საჭიროებს;
27. უმუშევართა შორის ყველაზე მსხვილ ჯგუფს შეადგენდნენ ის უმუშევრები, რომელთაც სერტიფიცირებული პროფესია არ გააჩნიათ ანუ პროფესიის არმქონენი;
28. ხანგრძლივი უმუშევრების დიდი ნაწილი (42 პროცენტი), უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები არიან. ეს ტენდენცია მთელი საკვლევი პერიოდის (2009-2015 წლები) მანძილზეა შენარჩუნებული. საშუალო და დაბალი კვალიფიკაციის სპეციალისტების ხვედრითი წონა ხანგრძლივ უმუშევრებში შედარებით დაბალია;
29. დასაქმების სტრუქტურაში ბოლო 6 წლის მანძილზე განვითარებული პოზიტიური მოვლენები, რომელიც აგრარული დასაქმების ხვედრითი წონის შემცირებაში გამოიხატა, ძირითადად მომსახურების სფეროში დასაქმების ხვედრითი წონის ზრდით იყო განპირობებული. აღნიშნული პოზიტივი ეკონომიკის რეალურ სექტორს (აგრარული სექტორის გარეშე) პრაქტიკულად არ შეხებია - მისი ხვედრითი წონა უცვლელია;
30. იზრდება კერძო სექტორის ხვედრითი წონა სამუშაო ადგილების გენერირებაში, რაც ძირითადად სტიქიურად შექმნილი სამუშაო ადგილების ხვედრითი წონის შემცირების ხარჯზე ხდება;
31. სერტიფიცირებული პროფესიების მიხედვით დასაქმებულთა და უმუშევართა კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ განათლების სისტემიდან მიღებული განათლების დამადასტურებელი სერტიფიკატი არ თამაშობს მნიშვნელოვან როლს სამუშაო ადგილის მოძებნაში.
32. დიპლომის მიხედვით კვალიფიკაციასთან ფაქტიური დასაქმების შესაბამისობის ანალიზი აჩვენებს, რომ მიღებული კვალიფიკაციის მიხედვით სამუშაოს პოვნა საქართველოში ერთობ რთულია, რაც ორი ძირითადი გარემოებით შეიძლება იყოს განპირობებული:
    a. მიღებული განათლების ცენზი და რეალური ცოდნა არ არის ერთმანეთის შესაბამისი ანუ აღებული დიპლომი არ ნიშნავს მიღებულ ცოდნას;
    b. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეთავაზებული პროფესიების სტრუქტურა აცილებულია შრომის ბაზრის მოთხოვნის სტრუქტურას ანუ საგანმანათლებლო დაწესებულებები ამზადებენ ცენზის მიხედვით განათლების მქონე, მაგრამ დასაქმების ნაკლები პერსპექტივის მქონე კადრებს;
33. სტრუქტურული უმუშევრობის პარადიგმა საქართველოში შეიძლება შემდეგნაირად აღიწეროს: ერთი მხრივ, განათლების სისტემა არ ან ვერ ამზადებს შესაბამისი (შრომის ბაზარზე მოთხოვნადი) სპეციალობის (კვალიფიკაციის) კადრებს; მეორე მხრივ კი, განათლების სისტემა, როგორც უმაღლესი, ისე სპეციალური, ვერ იძლევა შესაბამის ცოდნას (კვალიფიკაციას) ანუ განათლების ცენზი და მისი მფლობელის ფაქტობრივი ცოდნა და შეძენილი უნარები ერთმანეთს არ შეესაბამება; განათლების სისტემის მიერ მომზადებული კადრები ხანგრძლივი უმუშევრობის შედეგად კარგავენ კვალიფიკაციას, ან იძულებული არიან უფრო დაბალი კვალიფიკაციის სამუშაოზე იმუშაონ. სამუშაო ძალის დეკვალიფიკაცია საქართველოში სტრუქტურული უმუშევრობის ერთერთი მთავარი უარყოფითი შედეგია;
34. „დაუკმაყოფილებელი“ დასაქმებულების პრობლემა, როგორც სტრუქტურული უმუშევრობის გამოვლინება, ყველაზე მეტად განათლების სისტემისა და შრომის ბაზრის დაბალი კონგრუენტულობის შედეგია;
35. საქართველოს ეკონომიკა ვერ ახერხებს მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო ადგილების გენერირებას. შედეგად, როგორც ფარული და დაუკმაყოფილებელი სტრუქტურული უმუშევრობა, ისე შსო-ის კრიტერიუმით გაანგარიშებული უმუშევრობა ყველაზე მაღალი სწორედ განათლების ცენზის მიხედვით უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებს შორისაა;
36. აგრარული სექტორი რჩება დაბალი კვალიფიკაციის მუშახელის აბსორბენტად: სწორედ ეს სექტორი ,,იწოვს“ სამუშაო ძალის იმ ნაწილს, რომელმაც ვერანაირი სამუშაოს პოვნა ვერ შეძლო;
37. კერძო სექტორის ხვედრითი წონა სამუშაო ადგილების გენერირებაში არსებითად იზრდება, რაც უდავოდ დადებითი ტენდენციაა, თუმცა მისი დინამიკა არადამაკმაყოფილებელია და ზრდის კიდევ დიდი პოტენციალი გააჩნია;

38. სასოფლო თვითდასაქმების ხვედრითი წონა მთლიან დასაქმებაში მცირდება, რაც ასევე დადებითი ტენდენციაა, მაგრამ მისი ტემპიც არ არის ისეთი მაღალი, რომ მნიშვნელოვანი ძვრები გამოიწვიოს საქართველოში დასაქმების სტრუქტურაში;
39. ფარული სტრუქტურული უმუშევრობის დონე არსებითად მაღალია პროფესიული განათლების მქონეთა ჯგუფში. ასეთი კლასის სერტიფიცირებულ სპეციალისტებს, როგოც წესი, წარმატებით ანაცვლებენ პროფესიის არმქონე, მაგრამ სამუშაოს უფრო აქტიური მაძიებლები;
40. სამუშაო ადგილის ძებნის ინსტიტუციონალიზაციის ხარისხი საქართველოში უკიდურესად დაბალია ანუ სამუშაოს ძებნაში წამყვანი როლი ისევ და ისევ ნაცნობებს, მეგობრებს და ნათესავებს ენიჭებათ.
41. სამუშაოს ძებნის გზების უპირატესად არაინსტიტუციონალური ხასიათი, რომელიც წლების განმავლობაში არ იცვლება, შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების მექანიზმის არასრულყოფილებაზე მიუთითებს.

7. რეკომენდაციები

კვლევის შედეგად მიღებული თვისობრივი მიგნებების საფუძველზე შევიმუშავეთ შემდეგი რეკომენდაციები:

1. უმუშევრობის სტრუქტურის სიღრმისეული ტენდენციების გამოსავლენად აუცილებელია შინამეურნეობათა ინტეგრირებული გამოკვლევების მონაცემთა ბაზების რეგულარული კომპლექსური ანალიზი;
2. უმუშევრობის უფრო სრულყოფილი კვლევისა და დასაქმების უფრო ქმედითი პოლიტიკის შემუშავების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია უმუშევრობის დონის, როგორც შსო-ის კრიტერიუმებით, ისე აგრეგირებული მაჩვენებლით გაანგარიშება, რომელიც მოიცავს ასევე ფარულ უმუშევრობას და არასრულ დასაქმებას;
3. დასაქმების ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავებისათვის საჭიროა უმუშევართა და ვაკანსიების რეგულარული რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბება;
4. უნდა დაიწყოს სტრუქტურული უმუშევრობის მსოფლიო პრაქტიკაში გამოყენებული ინდიკატორების გაანგარიშება, მათ შორის, ბევერიჯის მრუდის აგება;
5. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ეკონომიკა უპირატესად დაბალი კვალიფიკაციის სამუშაო ადგილებს ქმნის, მიზანშეწონილად ვთვლით დაჩქარდეს მუშაობა ქვეყნის ინდუსტრიულ პოლიტიკაზე, რომელმაც უნდა განსაზღვროს საქართველოში ცოდნაზე დაფუძნებულ კონკურენტულ ეკონომიკაზე გადასვლის გზები;
6. რამდენადაც უმუშევართა შორის ყველაზე მსხვილ ჯგუფს პროფესიის არმქონენი შეადგენენ, საჭიროდ მიგვაჩნია ჩამოყალიბდეს სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიის არმქონეთა მიერ მოთხოვნადი სერტიფიცირებული პროფესიების დაუფლებას;
7. იმის გათვალისწინებით, რომ ხანგრძლივი უმუშევრების უმეტესობა უმაღლესი კვალიფიკაციის უმუშევრები არიან, მიზანშეწონილია შრომის ბაზარზე უმაღლესი კვალიფიკაციის მოთხოვნადი პროფესიების პერიოდული კვლევა, მისი შედეგების შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებათათვის რეგულარულად გაცნობა და მხედველობაში მიღება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დროს;
8. რამდენადაც ეკონომიკის რეალური სექტორის (აგრარულის გარდა) ხვედრითი წონა მთლიან დასაქმებაში არ იზრდება, აუცილებელია ამ სექტორში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის უფრო ქმედითი პოლიტიკის გატარება, განსაკუთრებით ფინანსების წვდომის ხელშეწყობის მიმართულებით;
9. სამუშაო ადგილების გენერირებაში კერძო სექტორის ხვედრითი წონის მნიშვნელოვნად გაზრდის მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია შემუშავდეს სამუშაო ადგილების შექმნისათვის კერძო სექტორის საწარმოთა როგორც მორალური, ისე ფინანსური (ფისკალური) სტიმულირების მექანიზმი;
10. მიღებული განათლების ცენზისა და რეალური ცოდნის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია შემდგომი ნაბიჯების გადადგმა უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის მართვის ეფექტიანობის ასამაღლებლად;
11. საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შეთავაზებული პროფესიების სტრუქტურა შესაბამისობაში უნდა მოვიდეს შრომის ბაზრის მოთხოვნის სტრუქტურასთან, რისთვისაც საჭიროა პირდაპირი ურთიერთობების განვითარება, ერთი მხრივ, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და, მეორე მხრივ, უშუალოდ დამსაქმებლებს, მათ ასოციაციებს ან წამყვან HR კომპანიებს შორის;
12. ხანგრძლივი უმუშევრობის გამო სამუშაო ძალის დეკვალიფიკაციის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ხანგრძლივად უმუშევრების აღრიცხვის და დიაგნოსტიკის და მათი პროფესიული რეაბილიტაციის ან გადამზადების ქმედითი სისტემის დამკვიდრება;
13. განათლების სისტემისა და შრომის ბაზრის ურთიერთთავსებადობის გაზრდის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროფილური საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში მსხვილი დამსაქმებლების, მათი ასოციაციების და შესაბამისი კომპეტენციის მქონე HR კომპანიების წარმომადგენელთა ჩართვა;
14. მთლიან დასაქმებაში სასოფლო თვითდასაქმების ხვედრითი წონის შემდგომი, უკვე არსებითი შემცირებისათვის აუცილებელია დაჩქარდეს კოოპერაციის გზით აგრარული მეურნეობების გამსხვილება (კონცენტრაცია), აგროკლასტერების ჩამოყალიბება და ამის ბაზაზე უახლესი აგრარული ტექნოლოგიების გამოყენება;
15. იმის გათვალისწინებით, რომ ფარული სტრუქტურული უმუშევრობის დონე არსებითად

მაღალია პროფესიული განათლების მქონეთა ჯგუფში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამების გადახედვა შრომის ბაზრის მოთხოვნასთან თავსებადობის კუთხით და კურსდამთავრებულთა დასაქმების მიზნობრივი პროგრამების შემუშავება;

16. სამუშაო ადგილების ძებნის ინსტიტუციონალიზაციის ხარისხის ასამაღლებლად საკმარისი არ არის ინტერნეტ-პორტალების შექმნა, დასაქმების ფორუმებისა და კვირეულების რეგულარულად ორგანიზება. საჭიროა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრების ქსელის შექმნის დაჩქარება, რასაც ითვალისწინებს კიდეც შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია.

17. დასაქმებისპოლიტიკისფარგლებშიშემუშავებულიპროგრამებისეფექტიანობისუზრუნველყოფის მიზნით აუცილებლად მიგვაჩნია ზომვად ინდიკატორთა ბადეზე დაფუძნებული მონიტორინგისა და შეფასების კომპლექსური სისტემის ჩამოყალიბება.

8. შრომის ბაზრის განვითარების სცენარები

უმუშევრობა სისტემური პრობლემაა და მისი დონის შემცირება კომპლექსური ღონისძიებების გატარებას მოითხოვს. წინამდებარე მოდელს ვერ ექნება მაღალი სიზუსტის პრეტენზია, ვინაიდან ზუსტი მოდელის შემუშავება მაჩვენებელთა ძალზე ფართო წრეს საჭიროებს. გარდა ამისა, აუცილებელია მოდელით გათვალისწინებულ მოთამაშეებთან მჭიდრო თანამშრომლობა, ორგანიზაციული სტრუქტურისა და შესაძლებლობების ანალიზი. აუცილებელია აგრეთვე უწყებრივი სტატისტიკის ინფორმაციული მასივების შესწავლა და ინფორმაციული ნაკადების ანალიზი.

წინამდებარე მოდელი ეფუძნება კვლევის შედეგებით დადგენილ შემდეგ სამ გარემოებას:

- სერთიფიცირებულ პროფესიაზე უფრო დაბალი კვალიფიკაციით დასაქმებულების მაღალი ხვედრითი წონა მთლიან დასაქმებაში;
- სერთიფიცირებული პროფესიის არმქონე სამუშაო ძალის მაღალი ხვედრითი წონა ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში;
- სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმების ამორფულად მაღალი ხვედრითი წონა მთლიან დასაქმებაში.

გამოკვეთილი პრობლემებიდან სერთიფიცირებული პროფესიის არმქონეთა და სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულთა ჯგუფი არსებითად თანაკვეთადია.

ქვემოთ მოცემული შრომის ბაზრის შემდგომი განვითარების სამი სცენარი გულისხმობს ზემოაღნიშნული სამი მსხვილი პრობლემის მასშტაბების შემცირებას. ეს კი თავის მხრივ, შეიძლება ნიშნავდეს:

- პროფესიის არმქონეთა გადამზადებას და მათ მიერ შრომის ბაზარზე მოთხოვნადი სპეციალობების დაუფლებას, რასაც ითვალისწინებს მე-6, მე-10, მე-11, მე-13 და მე-15 რეკომენდაციები;
- სხვა თანაბარ პირობებში სახელმწიფოს მიერ ქმედითი პოლიტიკის გატარებას ეკონომიკის რეალურ სექტორში საჭირო პროფესიებზე შრომის ბაზრის მოთხოვნის გაზრდის მიზნით, რასაც გულისხმობს მე-5, მე-8 და მე-9 რეკომენდაციები;
- სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმების ამორფულად მაღალი ხვედრითი წონის შემცირებას, რასაც უკავშირდება მე-14-ე რეკომენდაცია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, განიხილება შემდეგი სამი სცენარი:

<u>სცენარი 1</u>: განათლების და მეცნიერების სამინისტრო ითვალისწინებს კვლევის შედეგებს, მაგრამ პროფესიული და უმაღლესი განათლების სტრატეგიების სრულყოფას ძირითადად დამოუკიდებლად ახორციელებს, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების, სოფლის მეურნეობისა და შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროების აქტიური ჩართულობის გარეშე, რის გამოც ვერ ხერხდება შრომის ბაზრის მოსალოდნელი მოთხოვნების სრულყოფილი გათვალისწინება. ასეთ შემთხვევაში:

- პროფესიული განათლების ფარგლებში გადამზადებულ სამუშაო ძალას დასაქმების მხოლოდ 24-პროცენტიანი შანსი ექნება (პროფესიული განათლების მქონეთა შორის უმუშევრობის საშუალოდ 76-პროცენტიანი დონის გათვალისწინებით);
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულებს კი დასაქმების 34-პროცენტიანი შანსი შეიძლება მიეცეთ;
- თუ პროფესიული განათლების სტრატეგია მხოლოდ გადამზადების ამოცანას დაისახავს და არ მოიცავს საშუალო სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციას, პოტენციურ სამუშაო ძალას ყოველწლიურად დაახლოებით 80 ათასამდე[11] პროფესიის არმქონე შეიძლება შეემატოს, რომელთაგან არსებული პროპორციების თანახმად, დაახლოებით 60 ათასი სამუშაოს დამატებითი მაძიებელი იქნება.

პირველი სცენარის განხორციელების მოსალოდნელი შედეგის უკეთ ილუსტრირების მიზნით შეიძლება ორი ვარიანტის განხილვა: პირველი ითვალისწინებს წლის განმავლობაში დაახლოებით 30 ათასი ადამიანის პროფესიულ გადამზადებას უმაღლესი განათლების სტრატეგიის უცვლელობის პირობებში, ხოლო მეორე - წლის განმავლობაში დაახლოებით 30 ათასი ადამიანის პროფესიულ გადამზადებას და უმაღლესი განათლების შრომის ბაზარზე ორიენტირებული სტრატეგიის შემუშავებას სხვა სახელმწიფო სტრუქტურებისაგან დამოუკიდებლად.

[11] სტატისტიკის სამსახურის ვებსაიტზე განთავსებული განათლების უწყებრივი სტატისტიკის მონაცემების მიხედვით.



<u>სცენარი 2:</u> ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო ითვალისწინებს კვლევის შედეგებს და აძლიერებს ეკონომიკის რეალური სექტორში მცირე და საშუალო მეწარმეობის ზრდაზე ორიენტირებულ პოლიტიკას, იმავდროულად სოფლის მეურნეობის სამინისტრო ააქტიურებს კოოპერირების გზით აგრარული მეურნეობების კონცენტრაციის და მათი პროდუქტიულობის ზრდის ხელშეწყობას, განათლების და მეცნიერების სამინისტრო კი ამ სტრატეგიების გათვალისწინებით უზრუნველყოფს საშუალო სპეციალური, პროფესიული და უმაღლესი განათლების სტრატეგიების[12] შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადობას. ამავე დროს, შრომის ბაზრის ინსტიტუციონალიზაციის ხარისხი კვლავ დაბალია ანუ მომზადებული სამუშაო ძალისა და გამოცხადებული ვაკანსიების შეხვედრის ადგილი არ არის ინსტიტუციონალიზებული. ასეთ შემთხვევაში:

- სამუშაოს ინსტიტუციურად მაძიებელი გადამზადებული და უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებული სამუშაო ძალის 20 პროცენტს დასაქმების ძალიან მაღალი შანსი აქვს, ხოლო დარჩენილი 80 პროცენტისათვის დასაქმების შანსი ისეთივე რჩება, როგორც 1-ლი სცენარის შემთხვევაში;

ამ სცენარის განხორციელების მოსალოდნელი შედეგის უკეთ ილუსტრირების მიზნით განიხილება ორი ვარიანტი: პირველი ითვალისწინებს წლის განმავლობაში დაახლოებით 30 ათასი ადამიანის პროფესიულ გადამზადებას უმაღლესი განათლების სტრატეგიის უცვლელობის პირობებში, ხოლო მეორე - წლის განმავლობაში ასევე დაახლოებით 30 ათასი ადამიანის პროფესიულ გადამზადებას და უმაღლესი განათლების შრომის ბაზარზე ორიენტირებული სტრატეგიის შემუშავებას.

[12] ამ სცენარშიც პროფესიული განათლებით მოცული უნდა იყოს, როგორც ზრდასრული მოსახლეობა ისე დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებიც.



<u>სცენარი 3:</u> ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო ითვალისწინებს კვლევის შედეგებს და აძლიერებს ეკონომიკის რეალური სექტორში მცირე და საშუალო მეწარმეობის ზრდაზე ორიენტირებულ პოლიტიკას. იმავდროულად, სოფლის მეურნეობის სამინისტრო ააქტიურებს კოოპერირების გზით აგრარული მეურნეობების კონცენტრაციის და მათი პროდუქტიულობის ზრდის ხელშეწყობას, განათლების და მეცნიერების სამინისტრო ამ სტრატეგიების გათვალისწინებით უზრუნველყოფს საშუალო სპეციალური, პროფესიული და უმაღლესი განათლების სტრატეგიების[13] შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადობას, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო კი უზრუნველყოფს შრომის ბაზრის ინსტიტუციონალიზაციის ხარისხის მკვეთრ ამაღლებას. ასეთ შემთხვევაში:

- არსებითად გაიზრდება გადამზადებული და უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებული სამუშაოს ინსტიტუციურად მაძიებელთა ხვედრი წონა, რომელთაც დასაქმების ძალიან მაღალი შანსი ექნებათ, ხოლო გარკვეული ნაწილი ისევ გააგრძელებს სამუშაოს არაინსტიტუციურად ძებნას. ამ პროპორციის ზუსტი პროგნოზირება ძალიან რთულია. თუ პარეტოს პრინციპით ვისარგებლებთ, მან შეიძლება შეადგინოს 80:20. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამუშაოს ინსტიტუციურად მაძიებელთა ხვედრითი წონა 80 პროცენტამდე გაიზრდება, არაინსტიტუციურად მაძიებლების ხვედრითი წონა კი 20 პროცენტამდე შემცირდება.

როგორც წინა სცენარებში ამ სცენარის განხორციელების მოსალოდნელი შედეგის უკეთ ილუსტრირების მიზნით განიხილება ორი ვარიანტი: პირველი ითვალისწინებს წლის განმავლობაში დაახლოებით 30 ათასი ადამიანის პროფესიულ გადამზადებას უმაღლესი განათლების სტრატეგიის უცვლელობის პირობებში, ხოლო მეორე - წლის განმავლობაში დაახლოებით 30 ათასი ადამიანის პროფესიულ გადამზადებას და უმაღლესი განათლების შრომის ბაზარზე ორიენტირებული სტრატეგიის შემუშავებას.

[13] ამ სცენარშიც პროფესიული განათლებით მოცული უნდა იყოს, როგორც ზრდასრული მოსახლეობა ისე დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებიც.



ზემორე ანალიზიდან ჩანს, რომ მხოლოდ პროფესიულ განათლებაზე აქცენტის გაკეთება საკმარისი არაა ისეთი სისტემური პრობლემის გადასაჭრელად, როგორიც სტრუქტურული უმუშევრობაა. აუცილებელია განათლების თითოეული საფეხურის თვისობრივი ცვლილება.

ამასთანავე ნათელია, რომ 30 წლის განმავლობაში დაგროვილი პრობლემის მოგვარება მყისიერად ვერ მოხდება და ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე ეფექტიანი ღონისძიების შედეგების დადგომას წლები დასჭირდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ საგრძნობი შედეგის მიღწევისათვის საკმარისი არ არის ერთი ან რამდენიმე სტრუქტურის სინქრონული მუშაობა. აუცილებელია ყველა შესაბამისი სტრუქტურის ძალისხმევის სინქრონიზაცია.

მოცემული, კომპლექსური შინაარსის ამოცანის ამოხსნა შეუძლებელი იქნება გამართული მონიტორინგისა და შეფასებების სისტემის გარეშე.

წინამდებარე გაანგარიშებები აჩვენებს მხოლოდ ძირითად მიმართულებას და ის ჯერ კიდევ შორსაა რეალური მოდელისაგან, ვინაიდან რეალური მოდელის შემუშავება გაცილებით უფრო მაღალი დეტალიზაციის უწყებრივ სტატისტიკას და ე.წ. ინსაიდერულ ინფორმაციას საჭიროებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს არის საქართველოში უმუშევრობის სტრუქტურისა და სტრუქტურული უმუშევრობის სისტემური შესწავლის პირველი მცდელობა და მისი შემდგომი გაღრმავება არა მხოლოდ სასურველი, არამედ აუცილებელიცაა.

9. წყაროები

1. საქართველოს მთავრობა, 2013. 2013 წლის 2 აგვისტოს №199 დადგენილება საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, http://ssa.gov.ge/files/01_GEO/KANONMDEBLOBA/Kanon%20Qvemdebare/73.pdf
2. საქართველოს მთავრობა, 2014. 2014 წლის 17 ივნისის N400 დადგენილება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2373855
3. საქართველოს მთავრობა, 2014. 2014 წლის 26 დეკემბერის №733 დადგენილება შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების კონცეფციისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2659790
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის 2009, 2010, 2011, 2012, 2013, 2014 და 2015 წლის მონაცემთა ბაზები, http://www.geostat.ge/?action=meurneoba_archive&lang=geo
5. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), 2010. საქართველოს ეროვნული შრომის ბაზარი. 2010 წლის ივნის-ივლისში ჩატარებული კვლევის ანგარიში. თბილისი, USAID, IMO. http://www.mes.gov.ge/uploads/LMS_2010_Geo.pdf
6. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), 2011. საქართველოს შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდება. 2011 წლის თებერვალ-ივნისში ჩატარებული კვლევის ანგარიში. თბილისი, USAID, IMO.
7. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC), 2011. დასაქმებისა და უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში, ნოემბერი 2011. თბილისი, EPRC, https://www.osgf.ge/files/publications/2011/EPRC_Georgian_Economic_Outlook_II,_Nov_2011_GEO.pdf
8. ბიზნეს კონსალტინგის ჯგუფი (BCG), 2014. შრომის ბაზრის კვლევა.
9. ბიზნეს კონსალტინგის ჯგუფი (BCG), 2015. შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა. თბილისი, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, https://www.moh.gov.ge/files/01_GEO/Shroma/kvleva/33.pdf
10. ACT, 2015. დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა პროფესიული განათლების მიმართ, კვლევის ანგარიში. თბილისი, UNDP,http://www.mes.gov.ge/content.php?id=5962&lang=geo
11. Hussmanns R., Mehran F., Verma V., 1992. Surveys of economically active population, employment, unemployment and underemployment: An 110 manual on concepts and methods. Geneva, ILO http://www.ilo.org/public/english/bureau/stat/download/lfs.pdf
12. Hussmanns R., Measurement of employment, unemployment and underemployment – Current international standards and issues in their application. http://www.ilo.org/public/english/bureau/stat/download/lfs.pdf
13. Kvaratskhelia V., Mukbaniani N., 2011. Unemployment and Labor Market Policy in Georgia. Tbilisi, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, http://iset.tsu.ge/files/5._valeriane_kvaratskhelia_and_nana_mukbaniani.pdf
14. Aring M., 2012. Report on Skills Gaps, Background paper prepared for the Education for All Global Monitoring Report 2012 Youth and skills: Putting education to work. UNESCO, http://unesdoc.unesco.org/images/0021/002178/217874e.pdf
15. Dilanchiev A., 2014. Relationship between Entrepreneurship and Unemployment: The Case of Georgia. Journal of Social Sciences; Vol. 3, Issue 2, http://journal.ibsu.edu.ge/index.php/jss/article/view/637/533
16. Arias O., Sanchez-Paramo C., Davalos M., Santos I, Tiongson E., Gruen C., De Andrade Falcao N., Saiovici G., Cancho C., 2014. Back to Work. Growing with Jobs in Europe and Central Asia, Washington, DC, THE WORLD BANK, http://www.worldbank.org/content/dam/Worldbank/document/Back-to-Work-Full.pdf
17. DEG, the Boston Consulting Group (BCG), 2016. Bridging the skills gaps in developing countries. A practical guide for private-sector companies. EDFI., file:///C:/Users/USER/Desktop/EDFI%20lets%20work%20partnership%20-%20Bridging%20Skills%20Gaps%20Report%20-%20DEG%202016.pdf

10. დანართები

დანართი N1

კვლევის პროცესში გამოყენებული ჩაღრმავებული ინტერვიუს კითხვარი

1. რესპონდენტის სახელი და გვარი.
2. კომპანიის სახელწოდება.
3. კომპანიის საქმიანობის სფერო (აღწერეთ რაც შეიძლება დეტალურად).
4. რამდენი წელია რაც კომპანია საქმიანობს?
5. თავისი საქმიანობის მანძილზე კომპანიას ხომ არ შეუცვლია პროფილი?
6. თუ შეიცვალა, რა იყო ამის მიზეზი და რომელი საქმიანობიდან რომელზე გადაერთო?
7. რამდენი თამაშრომელით დაიწყო კომპანიამ საქმიანობა?
8. რამდენი თანამშრომელი ჰყავს კომპანიას ამჟამად?
   a. მათ შორის, რამდენია ხელმძღვანელი რგოლის წარმომადგენელი?
   b. რამდენია უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი?
   c. რამდენია საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტი?
   d. რამდენია დაბალი კვალიფიკაციის სპეციალისტი?
9. მოქმედებს თუ არა კომპანიაში პრემირების სისტემა?
10. აწყობს თუ არა კომპანიის ხელმძღვანელობა თანამშრომელთა წამახალისებელ ღონისძიებებს და თუ აწყობს რა ღონისძიებებია ეს და რამდენად ხშირად ეწყობა?
11. რამდენად თავისუფლად შეუძლია კომპანიის თანამშრომელს მიმართოს კომპანიის ხელმძღვანელობას? (აღწერეთ პროცედურა თუ როგორ შეუძლია კომპანიის ყველაზე დაბალი რგოლის თანამშრომელს მიმართოს კომპანიის ხელმძღვანელობას).
12. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დაიქირავა თუ არა კომპანიამ ახალი თანამშრომლები?
13. თუ დაიქირავა, ძირითადად როგორი კვალიფიკაციის თანამშრომლებს ეძებდა?
14. თუ დაიქირავა, ძირითადად როგორ ეძებდა თანამშრომლებს?
   a. ნაცნობების მეშვეობით;
   b. გამოაცხადა კონკურსი კომპანიის ვებ გვერდზე;
   c. გამოაცხადა კონკურსი სხვა რომელიმე ელექტრონული მედია საშუალებით;
   d. გამოაქვეყნა განცხადება გაზეთში და ასე შემდეგ.
15. ძირითადად რა მოეთხოვებოდათ კანდიდატებს? (მიუთითეთ მაღალი, საშუალო და დაბალი კვალიფიკაციის კანდიდატების მოთხოვნებს შორის არსებული სხვაობები).
16. დაახლოებით რამდენი ახალი თანამშრომელი დაიქირავა კომპანიამ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში?
   a. მათ შორის, რამდენი იყო უმაღლესი კვალიფიკაციის?
   b. საშუალო კვალიფიკაციის?
   c. დაბალი კვალიფიკაციის?
17. დაახლოებით რამდენი კანდიდატურა განიხილეს კომპანიაში თანამშრომლების შერჩევისას ბოლო ხუთი წლის მანძილზე?
18. რა იყო ის ძირითადი ნიშანი, რის გამოც კანდიდატებისათვის უარის თქმა გიწევდათ?
19. რამდენად კმაყოფილი ხართ აყვანილი თანამშრომლებით? (დეტალურად აღწერეთ კმაყოფილების და უკმაყოფილების მიზეზები).
20. ბოლო ხუთი წლის მანძილზე მოგიწიათ თუ არა თანამშრომლების გათავისუფლება?
21. თუ მოგიწიათ, ხელმძღვანელი რგოლის რამდენი თანამშრომელი გაათავისუფლეთ და რა მიზეზით?
22. თუ მოგიწიათ, უმაღლესი კვალიფიკაციის რამდენი თანამშრომელი გაათავისუფლეთ და რა მიზეზით?
23. თუ მოგიწიათ, საშუალო კვალიფიკაციის რამდენი თანამშრომელი გაათავისუფლეთ და რა

მიზეზით?

24. თუ მოგიწიათ, დაბალი კვალიფიკაციის რამდენი თანამშრომელი გაათავისუფლეთ და რა მიზეზით?

25. ამჟამად ეძებთ თუ არა თანამშრომლებს?

   a. თუ ეძებთ, რა სპეციალობის თანამშრომლებს ეძებთ?

   b. თუ ეძებთ, როგორ ეძებთ?

   c. თუ ეძებთ, რა არის ძირითადი პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ კანდიდატები?

26. თქვენი შეფასებით, რამდენად ადვილია საქართველოში მაღალი კვალიფიკაციის პერსონალის მოძიება? რომელი სპეციალობის თანამშრომლების მოძიებაა ადვილი და რომლის რთული? რა არის ამ სიადვილის ან სირთულის მიზეზი?

27. ძირითადად რა ასაკის თანამშრომლებზე აკეთებთ აქცენტს და რა არის ამის მიზეზი? თუ სხვადასხვა პროფესიისთვის ასაკობრივი კრიტერიუმები განსხვავებულია, რაში მდგომარეობს ეს განსხვავება და რა არის ამის მიზეზი?

28. თქვენი აზრით, რა არის საქართველოში სამუშაოს მოძებნის მთავარი პრობლემა?

29. თქვენი აზრით, რა არის საქართველოში კადრების მოძებნის მთავარი სირთულე?

30. როგორია ნახევარი ან მოქნილ განაკვეთიანი კონტრაქტების წილი (%) შრომით ხელშეკრულებებში?

დანართი N2

კვლევის პროცესში გამოკითხული კომპანიები

ს.ს. "თი-ბი-სი ბანკი":

ნინო გაჩეჩილაძე - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი;

ს.ს. "ჯეოსელი":

თამუნა გაფრინდაშვილი - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების
უფროსი;

ს.ს. "ნიკორა":

სოფიო თოფურია - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი;

ს.ს. "IDS ბორჯომი საქართველო":

რუსუდან გოგლიძე - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;

შპს "ჯორჯიან მანგანეზი":

თამარ ჭიპაშვილი - ამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;

ს.ს. "თელიანი ველი":

სალომე გურგენიძე - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი;

შ.პ.ს. "სამკერვალო ფაბრიკა ლაურა ღაჭავა":

მაყვალა კავლელაშვილი - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების
უფროსი;

შ.პ.ს."Adjara Group Hospitality":

ხათუნა ტუღუში - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი;

შ.პ.ს. "ლაშარი":

ჯენერი არქანია - სკოლის დირექტორი;

სს "საქრუსენერგო":

თენგიზ ალავიძე - ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

დანართი N3

ანგარიშის შუალედური განხილვის მონაწილეები

ელზა ჯგერენაია - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი;

გიორგი გამყრელიძე - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

შორენა ტიელიძე - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

გიორგი კალაკაშვილი - სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სოციალური სტატისტიკის სამმართველოს უფროსი;

ცისნამი საბაძე - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური ზრდის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

რევაზ გერაძე - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზის სამსახურის უფროსი;

გენო ჯანღიძე - სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

სოფიო ჩიტაძე - განათლების და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უმაღლესი განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი;

ხატია ნადარაია - განათლების და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპატრამენტის დამხმარე სპეციალისტი;

იოსებ არჩვაძე - ივ. ჯავახისვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ოთარ გრიგოლია - არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს პროგრესული ფორუმის" ანალიტიკოსი;

ბექა ფერაძე - არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს პროგრესული ფორუმის" ანალიტიკოსი.